# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 1 მაისი 1997 №49 (414) ფასი 40 თეთრი

# ინგლისმა მეორედ დაგვცა

## ინგლისი 2
## საქართველო 0





## იყიდება საქართველო?

გუშინდელ „ივნინგ სტანდარტში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „იყიდება საქართველო“. პრემიერლიგის უმეტესი კლუბის მწვრთნელები დიდი ინტერესით ელიან საქართველოს ნაკრების უემბლიზე თამაშს მათთვის სასურველი ფეხბურთელების შესაგულებლადო, იუწყებოდა გაზეთი. ძნელი სათქმელია, რაღას ფიქრობენ ისინი გუშინდელი მატჩის ხილვის მერე...

### ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი

UEFA UNDER-16 Championship გერმანია, ლუბტენე. 30 აპრილი

**საქართველო 3:5 იტალია**

სომხიშვილი, ლოლაძე, კაკაშვილი, საჯაია, ჩახუნაშვილი, ბურდული, გველესიანი, აფხაზავა (დეკანოსიძე 46), ჯაკობია, რომანაძე, სიამაშვილი

1:0 ჯაკობია (7), 1:1 გიდინი (47), 1:2 კოლუჩი (56), 2:2 დეკანოსიძე (60), 2:3 კოლუჩი (62), 3:3 გველესიანი (63), 3:4 სინიგალია (77), 3:5 პელანტი (80)

გაფრთხილება: საჯაია, ჩახუნაშვილი, კაპუანო

**უნგრეთი 0:1 ბელგია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 6:11 | 0 |

### წუხელ

**საფრანგეთის ჩემპიონატი**

35-ე ტური. კაენი — მონპელიე 0:1, სტრასბური — მონაკო 0:2, მარსელი — კანი 3:1, ბორდო — ლანსი 2:1, ლილი — პსჟ 0:1, ნიცა — ლიონი 0:1, ბასტია — ლე ავრი 1:2, რენი — მეცი 1:3, ნანსი — ნანტი 1:3, ოსერი — გინგამი 1:0.

## FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

### I ჯგუფი

**საბერძნეთი 0:1 ხორვატია**

0:1 შუკერი (78)

**დანია 4:0 სლოვენია**

1:0 ნილსენი (4), 2:0 პედერსენი (28), 3:0 ბ. ლაუდრუპი (52), 4:0 ნილსენი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| საბერძნეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| ბოსნია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |
| სლოვენია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

### II ჯგუფი

**ინგლისი 2:0 საქართველო**

1:0 შერინგემი (43), 2:0 შირერი (90)

**იტალია 3:0 პოლონეთი**

იტალია: პერუცი, ფერარა (პანუჩი 84), კოსტაკურტა, კანავარო, მალდინი, დი ლივიო, დ. ბაჯო (ფუზერი 84), ალბერტინი, დი მატეო, რავანელი, ძოლა (რ. ბაჯო 55)

პოლონეთი: ვოზნიაკი, ხკჟიპეკი, ზელინსკი, ვოიტალა (მაიაკი46), ციტკო, კალუჟნი, კუხარსკი (ვარჟიხა46), ნოვაკი, ბალუშინსკი, ლედვონი

გოლი: დი მატეო (23), მალდინი (37), რ. ბაჯო (61)

გაფრთხილება: ალბერტინი, კოსტაკურტა

იტალიელებმა ერთობ აგრესიულად დაიწყეს და შედეგმაც არ დააყოვნა: 23-ე წუთზე ალბერტინიმ მოძებნა ჩელსიში მოთამაშე დი მატეო და მასაც არ გასჭირვებია გატანა.

ამის მერე პოლონელებს თავგზა აებნათ. ჯერ იყო და, ძოლამ ჩამოიცილა მეურვე, ჩინებულადაც დაარტყა, მაგრამ მხოლოდ ხარიხა შეაზანზარა. რამდენიმე წუთში მისი დარტყმა ვოზნიაკმა აილო. გოლი კი მწიფდებოდა და გაჯიდა კიდეც. იტალიელებმა მარჯვნიდან ჩააწოდეს, საჰაერო დუელი ჩირო ფერარამ მოიგო და ბურთი მალდინის დაუგდო. ვოზნიაკი პირველ დარტყმას კი დაუხვდა, მაგრამ მალდინიმ თავგანწირულ ნახტომში ბურთს კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. ამით ვნებები დაცხრა და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ. მეორე ტაიმი პოლონელებმა შეტევებით დაიწყეს და მეორე წუთზე ახლოსაც იყვნენ მიზანთან, ხუთიოდე მეტრიდან ურტყამდნენ კარში, მაგრამ პერუცის ვერ აჯობეს. აქ კი ჩეზარე მალდინიმ ტიფოზების გასახარად მოედანზე გამოუშვა რობერტო ბაჯო, რომელმაც ანგარიშს წერტილი დაუსვა. მას სულ 6 წუთი დასჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. კოსტაკურტამ მოედნის ცენტრიდან მიაწოდა ბურთი, რომელიც ბაჯომ ოსტატურად დაამუშავა, ოსტატურადვე აუარა ვოზნიაკს გვერდი და ისე გადაგზავნა დაუცველ კარში, როგორც მარტო მისი დონის ფეხბურთელს შეუძლია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| ინგლისი | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 12 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |

### III ჯგუფი

**ნორვეგია 1:1 ფინეთი**

**შვეიცარია 1:0 უნგრეთი**

1:0 თურქილმაზი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |

### IV ჯგუფი

**ავსტრია 2:0 ესტონეთი**

1:0 ვახტიჩი (48), 2:0 შტროიგერი (82)

**შვედეთი 2:1 შოტლანდია**

**ლატვია 2:0 ბელარუსი**

1:0, 2:0 შევლიაკოვი (38, 83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 8:2 | 14 |
| ავსტრია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| შვედეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| ესტონეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 1:5 | 4 |
| ბელარუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

### V ჯგუფი

**ისრაელი 2:0 კვიპროსი**

**რუსეთი 3:0 ლუქსემბურგი**

1:0 კეჩინოვი (20), 2:0 გრიშინი (58), 3:0 ხიმუტენკოვი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| რუსეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 13:2 | 11 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:13 | 0 |

### VI ჯგუფი

**იუგოსლავია 1:1 ესპანეთი**

0:1 იერო (19 პ), 1:1 მიატოვიჩი (86პ)

**მალტა 1:2 ფარერები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 20:4 | 17 |
| იუგოსლავია | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 |
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 12 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:3 | 4 |
| ფარერები | 6 | 1 | 0 | 5 | 7:23 | 3 |
| მალტა | 7 | 0 | 0 | 7 | 1:29 | 0 |

### VII ჯგუფი

**სან მარინო 0:6 ჰოლანდია**

0:1 ბერხკამპი (40), 0:2 ვინტერი (63), 0:3 ვან ბრონკჰორსტი (70), 0:4 ფ. დე ბური (74), 0:5 ბოხმანი (85), 0:6 ბერხკამპი (90)

**თურქეთი 1:3 ბელგია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 5 | 0 | 1 | 23:3 | 15 |
| ბელგია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:6 | 12 |
| თურქეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:5 | 7 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:12 | 7 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 0:31 | 0 |

### VIII ჯგუფი

**რუმინეთი 1:0 ირლანდია**

1:0 ილიე (32)

**ლიხტენშტაინი 0:2 ლიტვა**

0:1 რაზანაუსკასი (65), 0:2 სკარბალიუსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 20:0 | 18 |
| მაკედონია | 6 | 3 | 1 | 2 | 18:10 | 10 |
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:4 | 7 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:31 | 0 |

### IX ჯგუფი

**გერმანია 2:0 უკრაინა**

1:0 ბირჰოფი (63), 2:0 ბასლერი (72)

**სომხეთი 0:0 ჩრ. ირლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 6 | 4 | 0 | 2 | 6:5 | 12 |
| გერმანია | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 9 |
| ჩრ. ირლანდია | 7 | 1 | 4 | 2 | 5:5 | 7 |
| სომხეთი | 5 | 0 | 4 | 1 | 3:7 | 4 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

## სამხრეთ ამერიკა

**ჩილე 6:0 ვენესუელა**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

II შესარჩევი ჯგუფი

ლონდონი, სტადიონი „უემბლი“, 30 აპრილი

## ინგლისი 2:0 საქართველო

1. სიმენი
5. ადამსი
2. გ. ნევილი 6. ლე სო
3. კემბელი
4. ბეტი
7. ბექემი 8. ინსი 11. ლი
10. შერინგემი 9. შირერი

11. შ. არველაძე
9. ქეცბაია 10. ქინქლაძე
8. ჯამარაული
7. ნემსაძე
2. შეყილაძე 4. შელია
6. მაჭავარიანი 5. ჩიხრაძე
3. ცხადაძე
1. ზოიძე

შეცვლა: მაჭავარიანი — 17. გოგრიჭიანი (33), ქინქლაძე — 15. გახოკიძე (62), გოგრიჭიანი — 14. ა. არველაძე (77) ინსი — 14. რედნაპი (84), ადამსი — 16. საუთგეიტი (88)

1:0 შერინგემი (43), 2:0 შირერი (89)

გაფრთხილება: ლე სო, ნემსაძე, ქინქლაძე, ლი, გოგრიჭიანი, შელია

მთავარი მსაჯი: რ. ჰარელი (საფრანგეთი)

### „დეილი მირორი“ მხარს უჭერს ჰოდლს

ქართული ფეხბურთის ისტორიაში 30 აპრილი გამორჩეული თარიღი იქნება. ამ დღეს საქართველოს ნაკრებმა ევროპული ფეხბურთის მექაში „უემბლიზე“ ითამაშა. ინგლისელებისთვის კი საეტაპოდ შესაძლოა მომდევნო დღე 1 მაისი გამოდგეს, რადგან დღეს არჩევნებია.

მატჩის წინა დღეს ყველა გაზეთი მატჩამდელი ანშლაგით გამოდის. გუშინდელ გაზეთებს კი არჩევნებში თავიანთ ფალავანთა გვარები გაეტანათ პირველ გვერდზე. ერთნი ლეიბორისტ ტონი ბლეიერს უჭერდნენ მხარს, მეორენი კონსერვატორ ჯონ მეიჯორს. გუშინდელი „დეილი მირორის“ პირველ გვერდზე კი წერია, „ჩვენ მხარს ვუჭერთ ჰოდლს“. ასეცაა. არჩევნებმა ინგლისელებს ფეხბურთი ვერ დაავიწყა. საარჩევნოდ ხომ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მორიგი გამოხდომაა მოსალოდნელი. ამიტომაც გუშინ დილიდანვე დაიხურა აეროპორტები. „უემბლის“ კი მატჩის დაწყებამდე 48 საათით ადრე დაუწესეს საგანგებო კონტროლი. სტადიონის მისადგომებს პოლიციელთა ცხენოსანი არმია და გაწვრთნილი ნაგაზები იცავდნენ. სტადიონზე შესული ყველა ქომაგიც გულდასმით გაიჩხრიკა. საევაკუაციო გზებიც კი წინასწარ იყო დაგეგმილი.

ინგლისურ გაზეთებს არც სათამაშო სამზადისი დავიწყებიათ. ლამის ყველა გაზეთმა დაბეჭდა გუშინ ნიუკასლელ ბეტის ინტერვიუ, რომელიც იქადნიდა, ქინქლაძეს ფეხს არ გავანძრევინებო. რა გამოვიდა აქედან, თავად ნახავდით, ამიტომ ახლა თამაშის პერიპეტიებს ჩავუღრმავდეთ.

### საბანი სადამდეც გაგწვდესო

არახალია, რომ ლამის ყველა ქართველი ბუნებით არისტოკრატია და პრეტენზიებიც შესაბამისი აქვს. თამაშის წინ ერთადერთი კითხვა გვაწვალებდა — რატომ არ უნდა მოვიგოთ ინგლისში. ერთნი ამ წინადადებას ბოლოში კითხვის ნიშანს უსვამდნენ, მეორენი კი თხრობითად წარმოთქვამდნენ. თამაშმა ორივე მხარეს ამომწურავი პასუხი გასცა.

ხშირად გვავიწყდება ქართული ანდაზა: საბანი სადამდეც გაგწვდეს, ფეხი იქამდე გაჭიმეო. არადა, ასეა.

დავით ყიფიანს საბანი აშკარად არ ეყო. ჩვეულებრივ პრობლემებს მატჩის წინ ლევან კობიაშვილისა და კახი გოგიჩაიშვილის ტრავმა, ნუგზარ ლობჟანიძის სიცხიანობა, შელიასა და ცხადაძის არასრულფასოვანი მზადყოფნა, თამაშისას კი მაჭავარიანისა და ქინქლაძის ფეხნატკენობაც დაერთო.

ასეთ ვითარებაში არავინ იყო გუშინ დავით ყიფიანზე უფრო ცოდვა, რადგან ლამის მთელი ნაკრები ლაზარეთად ექცა. მის წინაშე კი ურთულესი ამოცანა იდგა. თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გვსურდა, საქართველოს ნაკრებს „უემბლიზე“ უნდა დაემარცხებინა შირერიანი მეტოქე რომელსაც სრული შემადგენლობით თბილისში ვერ მოვუგეთ.



**ზურაბ მეძველია**

**ლონდონიდან**

ყიფიანს საფიქრალი მართლაც რომ ბევრი ჰქონდა. ხუმრობა როდია, ერთბაშად ორივე ფრთაზე ნახევამცველი მოგაკლდეს. ეს სწორედ ის ძალაა, რომელმაც ცენტრალურ ნახევარმცველებთან და წინა ხაზთან შეთანხმებული თამაშით მეტოქეს საფრთხე უნდა შეუქმნას. დაცვიდან ლობჟანიძის ამოვარდნამაც გაუთვალისწინებელი პრობლემა შექმნა: ერთი რომ, ნაკრებს ჟინიანი და ხისტი მცველი მოაკლდა, მეორეც: მისი ადგილი დაიკავა ნაკლებგამოცდილმა შეყილაძემ, რომელსაც საერთაშორისო პრაქტიკის უქონლობა არ დაეჩივლება, რაკილა „სელტიკთან“ და „ეინდჰოვენთან“ თასების თასზე უთამაშია, მაგრამ ნაკრების დაცვასთან შეუთამაშებლობაში კი „ამხელ“. შეყილაძის ნაკლმა პირველი გოლისასაც იჩინა თავი, თუმცა ამაზეც ვიტყვით, მანამდე კი თამაშს თავიდანვე მივყვეთ.

#### 1-15

თამაში ურთიერთდაზვერვით კი დაიწყო, მაგრამ ინგლისელებმა სწრაფადვე გვიჩხვლიტეს პირველად. ქართველთა ნახევარზე ბექემმა ქეცბაიასა და ქინქლაძის შეუთანხმებლობით ისარგებლა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ ბურთი და შერინგემი ერთმანეთს ასცდნენ.

მეათე წუთზე ქართველებმა შეუქანეს გული მასპინძლებს. ქინქლაძემ მინდვრის სიღრმიდან ქეცბაიას მიაწოდა, ამან შოთას, მის დარტყმულს კი, კემპბელის ფეხიდან რომ ასხლტა, ნემსაძე არ ელოდა და არც არაფერი გამოუვიდა.

ინგლისელებმა საკადრისი წინააღმდეგობა რომ იგრძნეს, მეტი მონდომებით შეუტიეს და ინსის ჩაწოდებაზე შერინგემისთვის შეყილაძეს რომ არ შეეშალა ხელი, ადრევე იხეირებდნენ.

#### 15-30

ამ მონაკვეთში მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. მე-20 წუთზე შირერმა ბექემის მიერ მოწოდებული კუთხური თავით ააცილა, ერთ წუთში კი ინსმა შერინგემის მიერ თავით დაგდებულ ბურთზე ვერ გაისწორა მიზანი. ცოტა ხანში ინსმავე კარში კი დაჰკრა, მაგრამ დარტყმა შელიამ გამოიტანა.

#### 30-45

ქართველთა რლვევა აქედან დაიწყო. 33-ე წუთზე ბექემმა მაჭავარიანს სახეში იდაყვი ჩასცხო და მედპუნქტში წასაყვანი გახადა. მსაჯმა ინგლისელი არ გააფრთხილა, მაგრამ, რაკი თამაში უხეშობაში გადაიზარდა, ლე სოს და ნემსაძეს ყვითლები აჩვენა, ქინქლაძე კი პროტესტის გამოთქმისთვის დასაჯა. ამასობაში ბექემის ჩაწოდებული კემპბელმა რომ დაუგორა, რობერტ ლიმ ააცილა, რომელიც ცოტა ხანში შელიასთან თამაშისას სიმულაციისთვის გააფრთხილეს.

ტაიმის გასრულებამდე 5 წუთით ადრე ლე სომ მარცხნიდან აჭრა ბურთი, რომელიც ჯვარედინს მოხვდა, ამას ბექემმა დაამატა, მაგრამ ცხადაძემ გამოიტანა და ინსის მაკრატელა კარს აცდა. ეს ინგლისელთა მიერ აქამდე შექმნილი ყველაზე სახიფათო მომენტი გახლდათ და ქართველთათვის საგანგაშო სიგნალიც უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ მაჭავარიანის გასვლის შემდეგ მისი ადგილი მარცხენა ფლანგზე ჩიხრაძემ დაიკავა, მარჯვენა ფრთაზე კი შეყილაძე გამწესდა. შეყილაძეს თავიდან ძლიერ გაუჭირდა ლე სო — ლის იერიშების გამკლავება და 43-ე წუთზე სწორედ მისი ფლანგიდან დაწყებული კომბინაცია დასრულდა გოლით. შირერის მიერ ჩაწოდებულ ბურთზე შელიას შერინგემმა დაასწრო და თავით ზოიძეს გაუტანა. ეს გოლი ერთგვარად ჰგავდა იტალიაში გაშვებულს, იმ განსხვავებით, რომ ზოიძე წინ აღარ გამოსულა, მაგრამ ახლოდან დარტყმულ ბურთზე ვერც ხაზზე მოასწრო რეაგირება.

ქართველებმა შესვენებაზე ნირწამხდარი წასვლა არ ისურვეს, თუმცა საამისოდ მხოლოდ შოთამ მოინდომა, მან ადამსი მოძრაობაში დაიჭირა, საჯარიმოში შეიჭრა და ბურთი კარის გასწვრივ გაჭრა, სადაც მიმართულება ვერავინ მიცა.

#### 45-60

თამაშის განახლებისთანავე ჯამარაულმა საჯარიმოს მარცხენა ფრთაზე ნევილი მოატყუა, თუმცა ბურთის სიღრმეში შეგდება დააგვიანა და ზედ პირით ხაზთან ადამსმა გადაცემა ჩაუჭრა. 50-ე წუთზე გოგრიჭიანმა ლე სოს მიერ სიმენისთვის მიბრუნებული ბურთი ჩაჭრა, მაგრამ წინ წაუვიდა და სუსტი დარტყმა წინ გამოსულმა სიმენმა ფეხით მოიგერია. 53-ე წუთზე შერინგემის მიერ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბექემმა მიწიდან დაარტყა, მაგრამ ამჯერად ზოიძემ ივარგა, ერთ წუთში კი კემპბელის დარტყმა, რომელსაც ინსმა დაამატა, მცველებმა გამოიტანეს. 5 წუთში კარს ლე სომ ააცილა და მეოთხე მეექვსედი ფრედ გათავდა.

#### 60-75

62-ე წუთზე ქინქლაძე შესაცვლელი რომ შეიქნა, შესვენებაზე მომხდარი გამახსენდა. გიომ პირველ ტაიმში მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო და ექიმებმა თამაშის გაგრძელება აღარ ურჩიეს. გახოკიძეც თამაშის განახლებამდევე გავიდა მინდორზე, მაგრამ ქინქლაძემ ბოლო მომენტში იძალა და თამაში გააგრძელა, თუმცა თხუთმეტიოდე წუთში მაინც დაუთმო ადგილი გახოკიძეს.

ამ მონაკვეთში შერინგემს კვლავაც შეეძლო გატანა, მაგრამ 68-ე წუთზე შირერის ჩაწოდებულს ვერ მისწვდა.

ცოტა ხანში კი ბექემმა ჯარიმა კედელს რომ გადაატარა, კარს ააცილა.

#### 75-90

შეცვლაზე შესულმა გოგრიჭიანმა ყიფიანს ავანტურა ვერ გაუმართლა, გაცუდებულ მომენტს რომ შევეშვათ, უხეშობისთვის მსაჯს ყვითელიც გამოსტყუა. ამიტომაც 77-ე წუთზე არჩილ არველაძით შეცვალეს, მაგრამ ამან მისი უკმაყოფილება და უწმაწური რეპლიკა წარმოშვა...

აქედან მოყოლებული ქართველებმა ორჯერ ვერ გაიტანეს. ჯერ შელიას მიერ დარტყმული საჯარიმო მცველის ფეხიდან აიჭრა და აცდა, მერე კი ჯარიმისავე ცხადაძის შესანიშნავი დარტყმა ხარიხას ზემოდანვე წაეხახუნა.

ბოლო ათი წუთი ინგლისმა შეცვლებით გალია. თამაშიც მინიმალური სხვაობით ღირსეული დამარცხებისკენ მიდიოდა, მაგრამ 89-ე წუთზე ზოიძემ საწყაულად რომ მოიგერია შერინგემის დარტყმა, შელიასგან მიგორებული ბურთი აიღო და ბაქნის კუთხიდან დარტყმული თავისუფალით შირერი ახეირა.

### პრესკონფერენცია

პრეს-კონფერენციაზე პირველი დავით ყიფიანი მოვიდა. ქართველმა ჟურნალისტებმა ჯერ უცხოელებს ვაცალეთ მისი „დაკითხვა“.

**— თქვენი აზრით, ჯგუფში გამარჯვების შანსი ვის უფრო მეტი აქვს — ინგლისს, თუ იტალიას?**

— ვფიქრობ, იტალიას. მათ ხომ დღეს 3:0 მოუგეს პოლონელებს, თუმცა, საქართველოს შეუძლია ინგლისს გაამარჯვებინოს — იხუმრა ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელმა.

**— შირერ-შერინგემის დუეტზე რას გვეტყვით?**

— დღეს მათი საუკეთესო მატჩი არ იყო, მაგრამ ეს ტანდემი უძლიერესია.

**— ქინქლაძე რატომ გამოცვალეთ?**

— მან მარჯვენა ფეხის კუნთი იტკინა. სერიოზული არაფერია, მალე მომჯობინდება. ქინქლაძე მეშვიდე ფეხბურთელი იყო, რომელიც ტრავმის გამო გამოგვაკლდა.

**— შეცვლაზე შესული გოგრიჭიანი რატომღა გამოცვალეთ? იგი ამით განაწყენებული დარჩა?**

— ჩათვალეთ, რომ მან ამით დაასრულა კარიერა საქართველოს ნაკრებში, რადგან უკმაყოფილება გამოთქვა. არადა, რობერტო ბაჯოს ცვლიდნენ და არ ათამაშებდნენ, როცა საჭირო იყო.



შირერის მიერ გატანილი თავისუფალი დარტყმა

**— ჩივაძის ტრადიციებს ხომ არ აგრძელებთ?**

— მე არავის ტრადიციების გამგრძელებელი არ ვარ. სრულიადაც არ მაკმაყოფილებს 0:1 ან 0:2. თანაც თუ კარში ვერ დაარტყი. მე კარგად ვიცი, რომ წაგება ცუდია.

**— 0:1-ზე პრემიები ხომ არ გქონდათ დაწესებული?**

— ვერ გავიგე თქვენი კითხვა. 0:1-ზე რა პრემია უნდა ყოფილიყო?!

**— საქართველოს ნაკრების წევრები „უემბლიზე“ თამაშმა ხომ არ დაამინა? ერთხელაც ვერ დაარტყეს კარში ხეირიანად...**

— ცხადია, ამისთვის მკაცრად უნდა მოეკითხოთ, მაგრამ მეტი სიმკაცრეც, მერწმუნეთ, აღარ შეიძლება.

**— ქართველები იშვიათად უტევდნენ.**

— ინგლისელებისთვის რომ მეტად შეგვეტია, უფრო დიდი ანგარიშით წავაგებდით.

**— ვისით ხართ უკმაყოფილო?**

— თავის შესაძლებლობებზე ცუდად ითამაშა შოთა არველაძემ. ქინქლაძეს ამაში ტრავმამ შეუშალა ხელი. ქეცბაიასაც მეტი შეუძლია. შეყილაძის პირველი თამაშით კი კმაყოფილი ვარ.

**— ნემსაძეზე რაღას იტყვით?**

— იგი კლუბში კაცზე თამაშობს და საყრდენად გადაწყობა გაუჭირდა, თორემ მეორე ტაიმში იძულებითი შეცვლებისას შირერს რომ უწევდა მეურვეობას, უკეთ ითამაშა.

ამის შემდეგ ჟურნალისტებმა გლენ ჰოდლს დააყარეს კითხვები, რომლებზეც ინგლისელთა მწვრთნელმაც სხაპასხუპით უპასუხა.

— პირველი გოლი კარგი კომბინაციის შედეგად გავიტანეთ. მეორე ტაიმში პირველი ოცი წუთი ცუდად ვითამაშეთ, თორემ ქართველთა დასჯა ადრევე გვმართებდა.

**— ევრო-96-ის თამაშებს როგორ შეადარებდით დღევანდელ მატჩს?**

— ვერაფერს გიპასუხებთ, რადგან მაშინ ნაკრების მწვრთნელი არ ვიყავი.

**— საფრანგეთში წასვლის როგორი შანსი გაქვთ?**

— ყველა თამაშზე სამი ქულის ასაღებად უნდა გავიდეთ. ახლა შანსი, თითქოსდა, იტალიას უკეთესი აქვს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ თბილისში ძნელი მატჩი ელის და შეიძლება ქულებიც დაკარგოს.

**— იტალიასთან პირად შეხვედრაში რა შედეგისთვის იბრძოლებთ?**

— მხოლოდ მოსაგებად. კომპრომისი ინგლისელებს ხასიათში არა გვაქვს.

**— საქართველოზე რა აზრის ხართ?**

— იგივე აზრისა დავრჩი, როგორისაც ამ ცოტა ხნის წინ ვიყავი. მას ძალიან ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს, მეტად ტექნიკური ქინქლაძის, ქეცბაიას და ჯამარაულის სახით. მოკლედ, ამ გუნდის თამაშის ხილვა ნამდვილად ღირს. ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ 90 წუთის განმავლობაში კარში ერთადერთხელ დაარტყა.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— მსაჯმა ყველა სადაო სიტუაციაში ადეკვატურად იმოქმედა და ყვითელი ბარათებიც ზომიერად დაარიგა.

**— მაკმანამანი რატომ არ ათამაშეთ?**

— საჯარიმოში ზედმეტი კაცი მჭირდებოდა და შერინგემიც მეტად საჭირო იყო.

**— შეცვლები რაღამ გაიძულათ?**

— ადამსს კოჭი ტკიოდა, ინსი კი ზურგმა შეაწუხა.

**— მეორე გოლზე რას იტყვით?**

— ძალიან არ მომწონს ეს წესი, მაგრამ ფაქტია, თავისუფალი დარტყმა გვეკუთვნოდა.

**— ბოლო წუთი რომ იყო? მსაჯს ხომ შეეძლო ისედაც წაგებული გუნდი დაენდო?**

— რა მნიშვნელობა აქვს რომელი წუთია, წესის დარღვევა წესის დარღვევაა.



გრემ ლე სო ცხადაძის გავლას ცდილობს

# პირველი ქულა 965 დღის მერე

**ინგლისი 0:0 საქართველო**

ლონდონი. სტადიონი „ჩარლტონ ატლეტიკი“. 12 714 მაყურებელი
ინგლისი: რაიტი, ოუკლი, ჰოლი, ბრამსი (გრენვილი 46), ფერდინანდი, ქარაგერი, ბოუერი, ჰიუზი, სკაუკროფტი, ჰესკი (ჰაკერბი 46), იდი (მორისი 68)
საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, ცქიტიშვილი, დიდავა, ხუჯაძე, ასათიანი (ქებაძე 50), კიკნაძე, გოგობერიშვილი (აშვეთია 85), საჯაია, ფოცხვერია, იაშვილი
გაფრთხილება: გოგობერიშვილი, ქებაძე
მსაჯი: ე. რომაინი (ბელგია)

მამუკა კვარაცხელია
ლონდონიდან



— კიდევ დიდხანს იდგები მაგ კაცის წინ, მაინცდამაინც სამაგიერო უნდა გადაგიხადოს? — მეოხუნჯა ჩვენი მთავარი რედაქტორი ზურაბ მეძველია, როდესაც „ჩარლტონ ატლეტიკის“ პრესლოჟიდან მონუსხულივით გადავყურებდი ჩემს წინ გადაშლილ ულამაზეს სანახაობას. მოვიხედე უკან და ხარხარი ამიტყდა: თურმე ბექა ბალარჯიშვილის გალახულ ტრევორ ბრუკინგს ვეფარებოდი. რომ არ „ვეცნე“, გავიწიე და მის მარცხენა წარბს შევავლე თვალი. კარგა ხნის შეხორცებული იყო და ოდნავ შესამჩნევი იარალა ეტყობოდა. ბრუკინგის და ბექას ძიძგილაობის გახსენებამ საკმაოდ გამამხიარულა და პრეს-ლოჟაში ჩემი ადგილის ძებნა დავიწყე. ჩვენს ქვემოთ და მარცხნივ ტრიბუნაზე სულ ქართველები ისხდნენ. სტადიონის დიქტორად მიწვეულმა გოგონამ ჩვენი ფეხბურთელების გვარები ქართულად გამოაცხადა, ჰიმნების მერე მსაჯმაც ჩასტვინა და თამაში და ინგლისელ გულშემატკივართა ყიჟინა ერთად დაიწყო. ინგლისელები მეტად ორიგინალურად ქომაგობდნენ: ჩრდილოეთ ტრიბუნაზე მსხდომი ორი მედოლე რიტმულად რომ დაუბაგუნებდა ვეება დოლებს, მთელი სტადიონი, ჩვენ რომ ვიცით „გაუმარჯოს!“, ისე დააქუხებდა ხოლმე სამჯერ ზედიზედ — „ინგლანდ!“

პირველი ტაიმი, რომ არ გცოდნოდა, ვინ თამაშობდნენ, ინგლისის პრემიერლიგის მატჩი გეგონებოდა: სისწრაფე, ათლეტური ბრძოლები, ხისტი თამაში.

ინგლისელთა პირველივე შეტევა ზანგმა მარკუ ჰოლმა კარში არაზუსტი დარტყმით დაამთავრა. შეტევა ასე არ უნდა და, იაშვილმა ფოცხვერიას გაუჭრა გრძელი პასი, მაგრამ ძლიერად გამოუვიდა და მეკარემ ფეხით მოიგერია. სიტყვამ მოიტანა და, „იფსვიჩ თაუნის“ გოლკიპერს მცველები სახიფათო სიტუაციის განსამუხტად ხშირად უგორებდნენ უკან ბურთს, ისიც ხან ძლიერი, ხანაც ტექნიკური, მოჭრილი დარტყმებით ჩვენს ნახევარზე გზავნიდა ხოლმე. მეკარის ასე ხშირად ჩართვა ჩემთვის ახალი გამოდგა, მაგრამ, ეტყობა, ახალ წესებთან შეგუება ინგლისში ადრე დაუწყიათ: 1 ივნისიდან ხომ ვერც თავით დაგორებულს აიღებს მეკარე ხელში და ვერც აუტიდან მიწოდებულს. მოკლედ, რაიტი ლამის მეხუთე მცველი იყო. იაშვილის ზემოხსენებული პასის შემდეგ ლიბეროდ მოთამაშე ცქიტიშვილმა გრძელი პასი გაუჭრა თავად იაშვილს და ჩვენებმა პირველი კუთხურის უფლებაც მოიპოვეს. ინგლისელები უფრო ფლანგურ შეტევებს მიეძალნენ, მარჯვნივ მოთამაშე დიდავას წამდაუწუმ უხდებოდა ორთაბრძოლაში ჩაბმა და გივის სასახელოდ უნდა ითქვას, არც თავი დაუზოგავს და არც შეცდომა დაუშვია. მე-13 წუთი კი კინაღამ მართლა ნავსიანი გამოდგა ჩვენთვის: ვესტჰემელი ფერდინანდის პასის შემდეგ ემილ ჰესკი გვარამაძისკენ სავალ ისეთ თავისუფალ დერეფანში აღმოჩნდა საჯარიმოს წინ, რომ ჩვენი „კოშკაც“ კი გადაიწია მარჯვენა კუთხის დასაფარად, მაგრამ რატომ არ დაარტყა კარიდან თვრამეტ მეტრში მდგარმა „ლესტერ სიტის“ ფორვარდმა, ვერაფრით ავხსენი. ჰესკიმ მარცხნივ გაუჭრა პასი იდის, მაგრამ ჩვენებმა შეტევა ჩაშალეს. წუთის მერე არსენალელმა ჰიუზმა ჩვენს საჯარიმოში მოჭრილი, ცუცურმა ბურთი გაუშვა ჰესკის მისამართით, ხუჯაძემ ვარდნაში სცადა ბურთის დაუფლება, მაგრამ ბურთმა შალვას ფეხს შემოუარა და, როგორც ჩანს, არც ჰესკი ელოდა ამგვარ საჩუქარს — ისე დაიბნა, მეკარესთან პირისპირ გასვლის ნაცვლად პირით ხაზზელა დაეწია ბურთს, მაგრამ ველარ შეაჩერა.

უნდა ითქვას, ჩვენებმა პირველ ტაიმში ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს, მეტიც, ზოგჯერ სჯობდნენ კიდეც. წინ ფოცხვერია და იაშვილი სწრაფი გადაადგილებებით იკლებდნენ მცველებს, ამათ უკან მოთამაშე აუგსბურგელი მიშა საჯაია ბურთს იჭერდა და გარღვევაზე გაჰყავდა ჩვენი ნახევარმცველები, დაცვაში კი ჩინებულად მოქმედებდა ლევან სილაგაძე — მგონი, ყველა ორთაბრძოლა მოიგო და ისე ხისტად თამაშობდა, თითქოს ფეხბურთი რუსთავში კი არა, ლონდონის გარეუბანში ესწავლოს. ცქიტიშვილი, გუცაევმა ამ ექვსი თვის წინ პირველად რომ დააყენა ლიბეროდ, გონივრულად აზღვევდა მცველებს და ეს რომ მისი ამპლუა ყოფილიყო და ლიბეროდ თამაშის მეტი გამოცდილება ჰქონოდა, ვფიქრობ, ლევანი ეროვნული ნაკრების უეჭველი კანდიდატიც იქნებოდა უკანა მცველის ამპლუაში. გოგობერიშვილმაც თავგანწირულად ითამაშა და დიდი ძალა შეალია თამაშს.

21-ე წუთზე ჩვენი ნაკრების კაპიტანმა გიორგი კიკნაძემ იმათი ნაკრების კაპიტანს, ლიდსელ ლი ბოუერს აართვა ბურთი ცენტრთან და კარისკენ დაიძრა, ორ მცველთან ჭიდაობაში გიორგი მარცხნიდან მიუახლოვდა საჯარიმოს და, ჩემი აზრით, იჩქარა, კიდევ შეეძლო წინ წაწევა, მაგრამ ოციოდ მეტრიდან დაარტყა: დაწოლილმა რაიტმა მარცხენა კუთხეში დამიზნებული ბურთი გაჭირვებით მოიგერია და მერე დაეუფლა კიდეც.

კიკნაძის ამ შეტევას ინგლისელთა შეტევა მოჰყვა და „იფსვიჩ თაუნის“ ჯეიმზ სკოუკროფტმა ძალზე კარგად დაუგდო ბურთი არსენალელ ჰიუზს, ოცი მეტრიდან „მეთოფემ“ ისეთი დაჰკრა, სტადიონი გაისუსა... „კოშკამ“ გვიხსნა, ნახტომში გაიჭიმა, ბურთს მარცხენა ხელის თითებით მისწვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ გოლი არ გასულიყო და ბურთი ძელს მოხვედროდა. იქვე მარჯვნიდან შეჭრილი იაშკა ლამაზი ცრუ მოძრაობით საუთჰემპტონელ ოუკლსა და ბლექბერნელ ბრამსს შორის გაძვრა საჯარიმოში, დაარტყა, მაგრამ მარცხენა ძელთან მდგარმა რაიტმა ბურთს ოდნავ შეუცვალა მიმართულება.

ამასობაში 28-ე წუთიც დადგა, დაბნეულ ინგლისელ მცველებს მარცხნიდან ფოცხვერია გაეპარათ, უკრაინელმა ჩვენებურმა ცოტა ძლიერად გაიგდო ბურთი და კუთხურის ხაზთანლა მიასწრო, მაგრამ მაინც მოახერხა იაშკასთვის საჯარიმოს ცენტში დაეგორებინა, იაშკამ ცაციით დაჰკრა და... მისი უილბლობა გაგრძელდა: რაიტმა ოდნავ შეუცვალა მიმართულება ბურთს, რომელსაც ჯიუტად არ სურდა შეხებოდა ბადეს. ბურთი ჯვარედინს მოხვდა და ინგლისელები გადარჩნენ.

მასპინძელთა საპასუხო შეტევა გუნდის კაპიტანმა ბოუერმა ძლიერი დარტყმით დაამთავრა, მაგრამ იმდენად არაზუსტად, ბურთმა „კოშკას“ კარის ხარიხას ოციოდე მეტრით გადაუფრინა. ბურთი სტადიონს გადასცდა და რაკილა ჩარლტონი კარგა ხანია ინგლისის დედაქალაქის ფარგლებშია და საუკუნეზე მეტია, აქ ბოსტნები აღარაა, ფლოიდ როუდის ქუჩაზე დაეცა...

ტაიმის მიწურულს იაშკას ისევ შეეძლო გატანა — ცქიტიშვილის კარგი გადაცემისა და კიკნაძის ეშმაკური ქუსლურის შემდეგ „ლიუბეკის“ თავდამსხმელი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, რაკილა საჯარიმოდან ინგლისელებს ამოსვლა ჯერ ვერ მოესწროთ, მაგრამ იაშკამ ბურთის გასწორება სცადა და მომენტიც გაცუდდა. იქვე კინაღამ კაპიტანი მოგვიკლეს — კიკნაძეს ბურთი თავში მოხვდა და მისი მოსულიერება მინდვრიდან საკაცით გაყვანის შემდეგღა მოხერხდა. წუთიც და, გოლს გადავრჩით: სილაგაძე ათიოდ მეტრიდან ბოუერის ყუმბარისებურ დარტყმას ვაჟკაცურად აღუდგა წინ და, მართალია, ნოკდაუნი მიიღო, მაგრამ გოლს გადაგვარჩინა.

მეორე ტაიმი დაიწყო და ასათიანი დაშავდა. გუცაევმა იგი ქებაძით შეცვალა. მისი ინგლისელი კოლეგა პიტერ ტეილორი კი ვა-ბანკზე წავიდა — მესამე თავდამსხმელი, „ქოვენთრი სიტის“ დარენ ჰაკერბი შემოიყვანა, რომელმაც ჩვენი დაცვა აიკლო და რომ არა სილაგაძის თავგამოდებული და საზრიანი თამაში, ეს ქერათმიანი ჯეელი უგოლოდ არ გავიდოდა. სიტყვამ მოიტანა და, ინგლისელებს ათლეტიზმში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მთელი მეორე ტაიმიც ამის ხარჯზე ცდილობდნენ გოლის გატანას, წამდაუწუმ აწვდიდნენ მაღალ ბურთებს საჯარიმოში. გვარამაძეც წამდაუწუმ ცდებოდა გამოსვლისას, მაგრამ ჩვენები რაღაცნაირად შეიკრნენ, ფოცხვერიამაც უკან დაიხია და დაცვას კაცურად მიეშველა. 76-ე წუთზე კი ისევ ივაჟკაცა გვარამაძემ: ზანგი ჰოლის უძლიერესმა დარტყმამ 35 მეტრიდან სტადიონი გააჩუმა. „კოშკამ“ ნათლია არ შეარცხვინა, გაიჭიმა და მარჯვენა ხელის თითებით ბურთს ოდნავ შეუცვალა მიმართულება. ტყვიასავით დარტყმულმა ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა მარჯვენა ძელს... ინგლისელები მთლად გავეშდნენ, ის კი არა, ერთ მომენტში ჯენტლმენობაც დაივიწყეს: საჯაიამ მინდვრის ცენტრში ტრავმა რომ მიიღო, ინგლისელ ახალგაზრდებს ბურთის აუტში გადაგდება არც კი გახსენებიათ. მივხვდი, ინგლისელთა უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა თავი და მთავარი იყო, გაგვეძლო. ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, თავი მოიკლეს. ის კი არა, მატჩის მიწურულს ფოცხვერიამ სამოცმეტრიანი დიაგონალური პასით მარჯვენა ფრთაზე ქებაძე რომ გაიყვანა გარღვევაზე, ინგლისელებმა თავში ხელი შემოირტყეს და ტორპედოელი მოცელეს. ორიოდ წუთიც და მატჩი დამთავრდა. ჩვენები გასავათებულები იყვნენ, ინგლისელებს რომ შევხედე, ერთ მატჩს კიდევ ითამაშებდნენ. დღემდე გამოცანად დამირჩა, რატომ არ ათამაშა თავიდანვე ტეილორმა ჰაკერბი, რომელიც ყველაზე ტექნიკურად ითამაშებდა, ათლეტური ბიჭიცაა და შუახაზიდან ხელშეწყობაც რომ ჰქონდა, ვაი ჩვენს დღეს. თუმცა, ეს ტეილორის პრობლემებია, ჩვენ კი მის ქართველ კოლეგას მატჩის შემდეგ ინგლისური ქულა მივულოცეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ. ეს ქულა მართლაც ძვირად ფასობდა, რაკილა მოლდოვასთან შინ გამარჯვების ანუ 965 დღის მერე ახალგაზრდებმა პირველად მოიპოვეს ქულა, თანაც სად, სტუმრად, ინლისური ფეხბურთის ხვალინდელ დღესთან. ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში გუცაევმა აღნიშნა კიდეც, ძალიან სწორხაზოვნად თამაშობდნენ და ტექნიკურად მოიკოჭლებდნენო.

— იცით თუ არა, რომ დღეს ხვალინდელი ინგლისური ფეხბურთის ნალები თამაშობდა, მართლა ასე ფიქრობთ მათზე — სახე წამოეჭარხლა BFBS-ის კორესპონდენტს.

— რა გითხრათ, ეს ჩემი აზრია, დღეს თქვენ გაკლდათ მოთამაშე, რომელიც თამაშს დაალაგებდა, აი, გესქოინი რომ არის, ისეთი ტიპისა — კვლავ დააყარა მარილი ინგლისელთა ჭრილობას გუცაევმა. არ ვიცი, ინგლისელებს ახსოვდათ თუ არა გუცაევის ტექნიკა, მაგრამ ვის-ვის და, „დინამოს“ სახელოვან ფორვარდს, როცა ტექნიკაზე საუბრობს, ალბათ არ უნდა შეეკამათო... ინგლისელთა მერე გუცაევი ჩვენ მოვიხელთეთ.

**— მეორე ტაიმში აშკარად დავთმეთ...**

— დაიღალნენ ბიჭები, ძალზე დაძაბული თამაში იყო, თავად იცით, ჩვენების უმეტესობა რა დონის ჩემპიონატში გამოდის. მე ველოდი ამას. დრო არ გვაქვს, რომ ბიჭების ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად ვიმუშაოთ. მეც მინდა, ყველა კარგ გუნდში თამაშობდეს და ძლიერ ჩემპიონატში გამოდიოდეს, მაგრამ...

**— ჩვენებიდან ვის გამოჰყოფდით?**

— რა თქმა უნდა, ზოგმა ძლიერად ითამაშა, ზოგმაც მათზე სუსტად, მაგრამ, მოდით, გვარებს ნუ დავასახელებთ.

**— ეს ნაკრების შესაძლებლობის ზღვარი იყო თუ ჩვენებს კიდევ შეუძლიათ მომატება?**

— არ დაგავიწყდეთ, ჩვენ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი გვაკლდა: გახოკიძე ყიფიანმა მიიწვია, იაგორაშვილს ტრავმა გაუმიზეზდა, კალაძე და დემეტრაძე დისკვალიფიცირებულნი არიან, მოკლედ, მომავალში მოგებებზე უნდა ვიფიქროთ...

ინგლისელთა დაღონებული თავკაცი ტეილორი დანანებით აქნევდა თავს, იქნებ ხვალინდელი მატჩი მაინც მოვიგოთო...

...„ჩარლტონის“ მეტროს გაჩერებაზე ბევრი ქართველი შეიკრიბა და, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, „ჩარინგ ქროსამდე“ უმალ ყველა დავმეგობრდით. რა სცოდნია პატარა სიხარულს?



ფოცხვერიამ გუცაევი ორმაგად შეაფიქრიანა: ჯერ ლონდონს ჩასვლა დააგვიანა, მერე კი ისე ითამაშა, შესაძლოა, ყიფიანმა წაართვას

## ევროპის ჩემპიონატი

21

**I ჯგუფი**

საბერძნეთი 2:0 ხორვატია
დანია 2:1 სლოვენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:5 | 13 |
| ხორვატია | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| სლოვენია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |

**II ჯგუფი**

ინგლისი 0:0 საქართველო
იტალია — პოლონეთი
გაიმართება 1 მაისს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 11 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 16:2 | 10 |
| მოლდოვა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:12 | 3 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| საქართველო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

**III ჯგუფი**

ნორვეგია 3:0 ფინეთი
შვეიცარია 4:1 უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 3 | 1 | 0 | 15:5 | 10 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 4 |
| უნგრეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |

**IV ჯგუფი**

ავსტრია 7:1 ესტონეთი
ლატვია 0:3 ბელარუსი
შვედეთი 2:1 შოტლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:3 | 13 |
| შვედეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 13:6 | 12 |
| ავსტრია | 5 | 3 | 1 | 1 | 14:6 | 10 |
| შოტლანდია | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| ლატვია | 5 | 0 | 2 | 3 | 0:7 | 2 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:16 | 1 |

**V ჯგუფი**

რუსეთი 8:0 ლუქსემბურგი
ისრაელი 4:3 კვიპროსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 21:3 | 12 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:26 | 0 |

**VI ჯგუფი**

იუგოსლავია 1:2 ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 16:1 | 7 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 0:21 | 0 |

**VII ჯგუფი**

სან მარინო 0:7 ჰოლანდია
თურქეთი 2:1 ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 18:3 | 13 |
| უელსი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:5 | 12 |
| თურქეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:28 | 0 |

**VIII ჯგუფი**

რუმინეთი 1:0 ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 9:4 | 15 |
| ისლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 8:2 | 6 |
| ლიტვა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| მაკედონია | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 0 |

**IX ჯგუფი**

გერმანია 2:0 უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 12 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| უკრაინა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:13 | 3 |
| სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 5:8 | 0 |



სამეფო
შამპანური,
რომელსაც დიდი ხანია ელოდით
დამზადებულია ადგილობრივი ყურძნის ჯიშების, ციცქა, ჩინური გორული, მწვანე და პინოსგან
მიღებულია ღვინომასალების სრული შამპანიზაციის გზით.
ქარხანა „ვაზიანი“
T: 94 16 907 94 16 87

საქართველოს ჩემპიონატი

# 26 ტური

24 ტურის ჯამი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 18 | 3 | 1 | 72:18 | 57 |
| ბათუმი | 23 | 15 | 6 | 2 | 54:13 | 51 |
| კოლხეთი | 24 | 15 | 4 | 5 | 51:22 | 49 |
| მერანი | 24 | 13 | 6 | 5 | 37:23 | 45 |
| ტორპედო | 23 | 12 | 3 | 8 | 57:44 | 39 |
| ოდიში | 23 | 11 | 1 | 11 | 41:33 | 34 |
| მარგვეთი | 23 | 10 | 1 | 12 | 36:49 | 31 |
| გურია | 24 | 9 | 3 | 12 | 29:49 | 30 |
| დილა | 24 | 7 | 7 | 10 | 22:28 | 28 |
| სამტრედია | 24 | 8 | 2 | 14 | 24:44 | 26 |
| სიონი | 24 | 7 | 5 | 12 | 17:30 | 26 |
| თსუ | 24 | 6 | 8 | 10 | 31:33 | 26 |
| გორდა | 23 | 7 | 2 | 14 | 30:43 | 23 |
| სამგურალი | 23 | 6 | 4 | 13 | 21:44 | 22 |
| იბერია | 24 | 5 | 6 | 13 | 18:40 | 21 |
| კახეთი | 24 | 8 | 1 | 15 | 20:47 | 20 |

# რა უნდა ქნას ფედერაციამ

## როცა თამაშები ჩაწყობილია

ბოლო ორი დღის ქართული პრესა შეთქმულივით ამტკიცებს, „მერანი" - თსუ და „მარგვეთი" - „იბერია" ჩაწყობილი იყოო. მკითხველისთვის თავგაბეზრება მიზნად არცერთს გვქონია და მამტკიცებელი საბუთებიც ბოლომდე არ დაგვიხარჯავს. თუმცა, რაღა მტკიცება უნდა, როცა არამარტო ჟურნალისტები, არამედ მაყურებლებიც ამ აზრზე დგანან.

ახლა მთავარია, ამას ფედერაციამ თვალი არ მოუხუჭოს.

ჩემპიონატის წლევანდელ დებულებაში არის პუნქტი მოლაპარაკებული თამაშების თაობაზე. IV პარაგრაფის მე-18 მუხლი გვაუწყებს: „სფფ-სთან შექმნილი სპეციალური საექსპერტო კომისია უფლებამოსილია თამაშის დელეგატის, მსაჯების, ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციების მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იმსჯელოს წინასწარ გარიგებული თამაშის შესახებ და სადისციპლინო კომიტეტს წარუდგინოს თავისი გადაწყვეტილება თამაშის შედეგის გაუქმებაზე."

როგორც ხედავთ, აუცილებელი პირობა მოხსენებითი ბარათია, რომელიც გუშინწინდელ თამაშებზე ფედერაციაში არ შესულა. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ „სამტრედიას" „მერანთან" (დებულებით გათვალისწინებული) 0:3 წაგება „სარბიელის" მხილების საფუძველზე ჩაეთვალა, სამი გაზეთის მტკიცებაც არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

### მერანი 4:2 თსუ

თბილისი. სტადიონი „სინათლე"
მერანი: დოლიძე, გოგიტიძე (ბუტიკაშვილი 46), ცქიფურიშვილი, დავითაშვილი, კაკუბავა (ბახტაძე 46), გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია, ჯიშკარიანი, ბ. ამბიძე, გოდერძიშვილი (ბაკურაძე 37), გაბისონია
თსუ: ბათიაშვილი, გიორგი ქორიძე, სულთანოვი, კობიაშვილი, თელიაშვილი (გოძიაშვილი 46), კანკავა (ზ. გვაზავა 46), მინდიაშვილი, გაგუა, ჩუხუა, მელქაძე, ჩიგოშვილი
1:0 გოდერძიშვილი (5), 2:0 კვარაცხელია (27), 3:0 გაბისონია (53), 3:1 ჩუხუა (55), 4:1 დავითაშვილი (81), 4:2 მელქაძე (83 პ)
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი**

# სინათლეზე სიბნელეა

ის, ვინც გუშინწინ ავჭალის სტადიონზე თამაშის საცქერლად მივიდა, აშკარად მოტყუებული დარჩა და დროც უქმად დაკარგა. სარედაქციო დავალებას რა ვუთხარი, თორემ მატჩის დაწყებიდან ათ წუთში სტადიონიდან წამოსვლას ვაპირებდი. სწორედ ეს ათი წუთი აღმოჩნდა საკმარისი საიმისოდ, რომ ორივე მხარე გაშიფრულიყო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, თამაშს საეჭვო სუნი უდიოდა. მაინც რა იძლეოდა იმის საბაბს, რომ მატჩი დაძაბული ყოფილიყო? ის, რომ ორივე გუნდს მოგება ჰაერივით ჭირდებოდა. „მერანის" ერთი წაფორთხილება და მოგჭამათ ჭირი ევროთასებზე გასვლის ოცნებამ, თსუ კი ჯერაც საზიფათო ზონაშია და ტყუილად ჰგონია, რომ წყალტუბოელთა დიდი ანგარიშით ძლევა ჯგუფში დარჩენას გაუნაღდებს. ბოლოს და ბოლოს, სხვა თუ არაფერი, დედაქალაქური დერბი იყო, რასაც მუდამ ახლავს ხოლმე დაძაბულობა. არაფერს ვიტყვი სპორტულ ღირსებაზე. ამაზე კი ის ითქმის, ძმა ძმისთვისაო. ერთი სიტყვით, „მერანმა" მოიგო, მაგრამ არ შევცდები თუ ვიტყვი და, მჯერა, ბევრიც დამეთანხმება, ეს არ იყო ნაღდი ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება.

გუშინწინ თსუ მოსაწველად გამზადებულ ფურს წააგავდა, რომელიც მწველავს მშვიდად ელოდება. მატჩის პერიპეტიებზე არაფერს მოგახსენებთ, რადგან საინტერესო არაფერი ყოფილა. თსუელები ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდნენ, ხოლო მერანელებს გოლები გაჰქონდათ. ეგ არის, მასპინძლებს ცოტა ზედმეტი მოუვიდათ, მეტოქე ქუსლურებით და მასხარაობით მთლად აბუჩად აიგდეს, ხოლო როცა მთელი თამაშის განმავლობაში ზედმეტად მონდომებულმა და მოძრავმა დავითაშვილმა მეოთხე გოლი გაიტანა, თანაგუნდელებისგან მილოცვების ნაცვლად გაკიცხვა დაიმსახურა, რად შეაგდეო. მასპინძლებმა მდგომარეობა იმით გამოასწორეს, რომ თავიანთ საჯარიმოში სახელდახელო პენალტი გაიჩალიჩეს და სტუმრები ოდენ ორბურთიანი სხვაობით წაგებას დააჯერეს. არადა, თსუელებს მეტი თუ არა, ნაკლები საგოლე მომენტები ნაღდად არ ჰქონიათ, მაგრამ რად გინდა, როცა მეტოქის კარის აღება აკრძალული გაქვს. სხვას ვერაფერს მივაწერთ მათ უზუსტობებს.

სტუმარ-მასპინძელს რამდენიმე ფეხბურთელი აკლდათ. მიზეზი რომ ვიკითხე, ტრავმებიო, მიპასუხეს. სხვაგვარად მგონია. მსგავსი მატჩი არაერთი მინახავს და ვიცი, რა ძნელია, მაყურებელს ტყუილი სიმართლედ მოაჩვენო. როგორც არ უნდა ეცადო, ასეთ უგვანობას ვერაფრით დამალავ. იყო ერთი ფაქტიც, რომელიც თავიდანვე შევნიშნე, მერე და მერე კი მომხდარის სარწმუნოობაშიც დავვარწმუნე. მასპინძელთა თავკაცი თემურ მახარაძე სტადიონზე მისულებმა მწვრთნელის სკამზე მჯდარი პირველად ვიხილეთ, ჩვეულებრივ კი იგი საკმაოდ ნერვიულობს ხოლმე და დასაჯდომად ვერ იცლის. რა ენაღვლებოდა, თავი ქუდში ჰქონდა.

ნეტავ მსაჯებმა და დელეგატმა თუ უწყოდნენ ყოველივე? თუ არ იცოდნენ, მიხვდებოდნენ. ან რა დიდი საგუმანო ეს იყო.

### მარგვეთი 1:2 იბერია

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი
მარგვეთი: მერკვილიშვილი, მალალურაძე, გურიელიძე, სულაკაძე, შავგულიძე (დ. ძელიძე 58), კაციაშვილი, მოსიკაშვილი, მ. მუმლაძე, უგულავა, უკლება, გუბელაძე
იბერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, მ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე (კალმახელიძე 46), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი (ქეთელაური 80), ქაჟუა, ნივნივაძე (ყუშიტაძე 59), თორია
0:1 კალმახელიძე (47), 0:2 ჩადუნელი (51), 1:2 უკლება (57)
მსაჯი: ხ. კახიანი (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე**
**ზესტაფონიდან**

# წინანი უკან და უკანანი წინ

ზესტაფონელები ამ მატჩზე ერთი ნომინალური მცველით გავიდნენ და ისიც, ზაზა გურიელიძე, ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზე თამაშობდა. საოცარია, არა? თუმცა საოცრებანი ჯერ კიდევ წინ არის. „მარგვეთის" ერთადერთ ფორვარდს ალუდა გუბელაძეს უკანასკნელი მცველის ადგილი დაეკავებინა. მარცხენა ნახევარმცველი შავგულიძე მარჯვენა მცველად გაემწესებინათ, ხოლო მარჯვენა ნახევარმცველი მალალურაძე მარცხენა მცველად. კარის დაცვა კი აბსოლუტურად საღ-სალამათ გვენცაძის ნაცვლად 16 წლის მეკარე მერკვილიშვილს მიანდეს.

ძნელი სათქმელია, რა ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა „მარგვეთის" მწვრთნელს, მაგრამ ფაქტია, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მის შეგირდებს ერთი კუთხურიც კი არ ჩაუწოდებიათ. მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს შეძლო ზესტაფონელმა სულაკაძემ ხაშურელთა კართან ხიფათის შექმნა, მაგრამ ამას მეკარე აბაშიძემ აჯობა.

მანამდე კი გასავარდნად განწირული „იბერია" უტევდა მეტოქის კარს. თუმცა ჯერ ხარაზიშვილმა, შემდეგ კი ორჯერ თორიამ ვერ ისარგებლეს მასპინძელ „მცველთა" შეუთანხმებელი მოქმედებით და ცარიელ კარს ააცილეს, გუბელაძის მიერ სინით მირთმეული პასი კი ჩადუნელმა მეკარეს გაარტყა. ყოველივე მაყურებელთა გამამხნევებელი შეძახილების თანხლებით ხდებოდა. ისინი მსაჯს პენალტის დადებას, მასპინძლებს კი საკუთარ კარში გატანას სთხოვდნენ.

ხაშურელებმა საწადელი მეორე ნახევარშილა აისრულეს. ჯერ იყო და, შეცვლაზე შესულმა კალმახელიძემ შორეული დარტყმით აიღო მასპინძელთა კარი, შემდეგ კი ჩადუნელმა „მცველებს" აჯობა და ძლიერი დარტყმით ხარიხის ქვეშ გაარჭო ბურთი. გაშვებულმა გოლებმა „მარგვეთი" ოდნავ შეაფხიზლა და ხუთიოდ წუთში „ცენტრფორვარდმა" გურიელიძემ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა უკლება, რომელმაც ანგარიში გაქვითა.

პირველ წრეში ხაშურში წაგებული მატჩის შემდეგ მალხაზ ლაცაბიძე ნოდარ კიკნაძეს დაპირდა, ზესტაფონში მაინც მოგიგებო. ჯაგამ სიყრმის მეგობარ ფეროს დანაპირები აუსრულა, ოღონდ ვისი დახმარებით, ესღაა საკითხავი. კიკნაძემ ხომ, ტაქტიკურ გადაადგილებებს რომ შევეშვათ, ძირითადის ოთხი ფეხბურთელიც არ ათამაშა.

### კოლხეთი 4:0 სიონი

ფოთი. სტადიონი „ფაზისი"
კოლხეთი: გოგუა, მ. ქობულაძე, კაკაჩია, ტორჩინავა, გოროზია, ლალანიძე (თიბილაშვილი 46), ფანჩულიძე, დ. მახარაძე (ბაჩილავა 46), ე. გვასალია, დარასელია, ბულუხია
სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, ყაველაშვილი, ყიფშიძე, ზაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე, ჯაგიდისი (ვ. სამხარაძე 46), მოსეშვილი (ა. ჭანტურია 46)
1:0 მახარაძე (4), 2:0 დარასელია (15), 3:0 მახარაძე (25), 4:0 ბულუხია (28)
მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

### სამტრედია 1:0 დილა

სამტრედია. სტადიონი „ეროსი მანჯგალაძე"
სამტრედია: სტურუა, ანჯაფარიძე, გეგეშიძე, ლორია, პაპლიაშვილი, გ. ძელიძე, შ. ჩომახიძე, ფრანგიშვილი, მარკოზია (ფხაკაძე 89), ივეჩიანი, დარსაძე (ცომაია 88)
დილა: ვოლკოვი, ჯალაბაძე (აკოფიანი 70), რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, კაიდარაშვილი, ფხალაძე, ხორგუაშვილი (ნკრიალაშვილი 46), გ. გვაზავა
1:0 ფრანგიშვილი (71)
მსაჯი: ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### კახეთი 4:2 გურია

თელავი. სტადიონი „გივი ჩოხელი"
კახეთი: პაქაშვილი (ძამუნაშვილი 73), ალადაშვილი, კ. ნიკლაური, ტარულაშვილი, ნაკუდაიძე, ფოფხაძე, ჯაშიაშვილი (ბოჭორიშვილი 46), ლვინიაშვილი, შონია (ტოკლიკიშვილი 73), მაზანაშვილი, მესხიძე
გურია: სულავა (ბაბაშვილი 68), ლევან ყოლბაია, თოლორდავა, კუკულაძე, ყანჩაშვილი (თ. გოგიჩაიშვილი 13), ლაშა ყოლბაია, ცერცვაძე, განევი, გვაანიძე, პატარაია, ქიქავა
1:0 ფოფხაძე (39), 2:0 შონია (63), 3:0 ლვინიაშვილი (70), 3:1 თოლორდავა (85), 4:1 მესხიძე (88), 4:2 პატარაია (89)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

## ფეხბურთის რუკასთან



საფრანგეთის ჩემპიონატის 35-ე ტურის გუშინწინ გამართულ ორივე მატჩში სტუმრებმა იმარჯვეს. „მონპელიემ" რობერის ერთადერთი გოლით „კაენს" მოუგო, ლიდერმა „მონაკომ" კი ანდერსონის და იკპებას გოლებით 2:0 მოუგო „სტრასბურს".

**ისლანდიის ნაკრები სამშაბათს ტრნავაში ამხანაგურად შეხვდა სლოვაკელებს და 1:3 დამარცხდა.**

ჩილელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სამხრეთ ამერიკაში უსუსტეს ვენესუელელებს 6:0 მოუგეს. მილანის „ინტერის" ფორვარდმა ივან სამორანომ ხუთი ბურთი გაიტანა და ერთი პენალტი ააცილა. მეექვსე პედრო რეისმა შეაგდო.

**გულშემატკივრის სიცოცხლე შეიწირა. თავიდან დამნაშავედ გულშემატკივრები მიიჩნიეს, თუმცა ტეილორის გამოძიებამ ცხადყო, რომ ტრაგედიის უპირველესი მიზეზი არასაიმედოდ აგებული ტრიბუნა იყო. ტეილორის პანაშვიდზე ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ჯონ მეიჯორიც მივიდა.**

შვეიცარიელმა შტეფან შაპუიზამ გადაწყვიტა, საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღოს რითაც იგი ბოისმანის წესს საკუთარ თავზე გამოსცდის. ეს ევროკავშირის ქვეყნებზე ვრცელდება, შვეიცარია კი ნეიტრალური სახელმწიფოა და სწორედ ამიტომ იფიქრა შტეფანმა ამ ნაბიჯის გადადგმა.

**გერმანიაში, კერძოდ, დორტმუნდში, „ბორუსიას" შტატბინაში 100 ათასამდე გულშემატკივარმა დარეკა, 28 მაისს მიუნხენში გასამართი ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის ბილეთები გვინდაო. ამათ გარდა კლუბის ოფისს ხუთი ათასმა კაცმა მიაკითხა ამნაირივე თხოვნით. გუნდის ოფისი ბაზარს დაემსგავსა, თუმცა წესრიგის დამცველთა დახმარებით რამდენიმე საათში გულშემატკივართა ვნებები დაცხრა და ახლა მათ ბილეთების შოვნა მიუნხენში მოუწევთ.**

# ფაბიო „რეალს" შემოსწყრა

იტალიელმა მწვრთნელმა კაპელომ განაცხადა, თუ სეზონის ბოლოს „რეალი" დავტოვე, ამაში დამნაშავე კლუბის ხელმძღვანელები იქნებიანო. „რეალის" თავკაცებს შემოსწყრა, ყველაფერი, რასაც ვსაუბრობთ ჟურნალისტებს კი არ უნდა უთხრათო. კაპელოს შესაძლო წასვლას შუკერთან და მიატვოიჩთან ურთიერთობის გაფუჭებასაც აბრალებენ. ესპანელები ამბობენ, ფაბიო „მილანში" მიდისო, მაგრამ თავად მწვრთნელმა თქვა, ამაზე საუბარი ნაადრევიაო. ამ დღეებში მადრიდელთა პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა თქვა, შესაძლოა კაპელო გადავაყენოთო. რის გამო, ეს აღარ აუხსნია.



**კანადის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატს შესარჩევ შეხვედრაში იამაიკას უმასპინძლა და 0:0 ითამაშა. ჯგუფის 4 შეხვედრაში კანადელებმა ჯერჯერობით გოლი ვერ გაიტანეს.**

საფრანგეთის ნაკრების წევრი კრისტიან კარემბუ მომავალ სეზონში მადრიდის „რეალში" ითამაშებს. „სამპდორიის" ფრანგმა ლეგიონერმა, ვინაც ამ დღეებში ესპანეთში იმყოფებოდა, თქვა, მადრიდელთა პრეზიდენტს, ლორენცო სანსს სიტყვა მივეცი და „რეალში" რომ არ გადავიდე, უსინდისობა იქნებაო.

**გერმანელმა შონ დანდიმ განაცხადა, „კარლსრუეში" გამჩერებელი აღარ ვარო. წარმოშობით სამხრეთ აფრიკელ დანდის წელს კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭდა, რამაც აფიქრებინა კიდეც „კარლსრუეს" დატოვება. მისით უმალვე დაინტერესდნენ „ბაიერნი" და „შტუტგარტი", თუმცა კონკრეტული საუბარი ფეხბურთელებსა და ამ კლუბებს შორის ჯერ არ გამართულა. ცნობილი გახდა, რომ დანდით „იუვენტუსიც" დაინტერესდა.**

იტალიელმა ჯანფრანკო ძოლამ შესაძლოა სეზონის ბოლოს „ჩელსი" დატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს. წელს „პარმადან" ლონდონურ კლუბში ოთხნახევარ მილიონ გირვანქად გადასულმა ძოლამ ინგლისის დატოვების მიზეზად ნოსტალგია დაასახელა. ისიც დასძინა, პატარა ბიჭი აღარა ვარ, აქეთ-იქით ვირბინოო. ინგლისში თამაშმა რწმენა შემმატა და ახლა იტალიისკენ მიმიწევს გული. ვგონებ, ცუდ ფორმაში არ უნდა ვიყო. ყველანაირად ვეცდები სამშობლოში ჩვეულ დონეზე ვითამაშოო.

**ინგლისში სამშაბათს გარდაიცვალა „ჰილსბროს" ტრაგედიის მიზეზების გამომძიებელი 66 წლის ლორდი ტეილორი. გეხსომებათ, 1989 წელს „ჰილსბროს" ტრაგედიამ ასამდე**

ფრანგ პატრიკ ბლონდოზე დიდი დავაა ინგლისურ „შეფილდ უენსდეისა" და შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერზს" შორის. „მონაკოს" მოთამაშე, ვინაც წელს ნაკრებშიც მიიწვიეს კლუბმა სამი მილიონი დოლარი დააფასა, რაზეც ორივე გუნდმა თანხმობა განაცხადა. თავად ბლონდოს ინგლისში ბურთაობა ურჩევნია.

**ინგლისის პრემიერლიგის აუტსაიდერმა „ნოტინგემმა" ერთდროულად დაკარგა და დაიბრუნა მცველი. შაბათს „უიმბლდონის" წინააღმდეგ ითამაშებს ტრავმაგადატანილი კოლინ კუპერსი, სტიუარტ პიარსი კი ალბათ ვერა, საზარდულის ტკივილის გამო.**

ფრანგმა არსენ ვენგერმა, ვინაც ლონდონის „არსენალს" თავკაცობს, თქვა, დიდი სურვილი მაქვს, თანამემამულე მუსა საიბი ჩემთან გადავიბიროო. „ოსერმა", თავის ნახევარმცველში 3 მილიონი გირვანქა მოითხოვა. „არსენალის" გარდა საიბი სურთ რამდენიმე გერმანულ და იტალიურ კლუბს.

**უნგრელი არბიტრი შანდორ პული, ვინაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი იტალია — ბრაზილია იმსაჯა, 28 მაისს მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრას იმსაჯებს. 43 წლის პული დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად ითვლება. 1993 წელს მან „იუვენტუსს" — „დორტმუნდის" უეფას თასის პირველი ფინალური მატჩიც განსაჯა. თასების თასის გადამწყვეტი მატჩი გერმანელ არბიტრ მარკუს მარკს მიენდო, უეფას თასის პირველი ფინალური შეხვედრა ფრანგ მარკ ბატას, მეორე ესპანელი ხოსე გარსია-არანდას.**

# აშავებ? [illegible]

უეფამ — [illegible] სის შემდეგ მოიფიქრა სასჯელი „ფიორენტინასთვის", კლუბის სტადიონისა და გუნდის მოთამაშეებისთვის. ფლორენციის სტადიონი ორი საევროპო თამაშით მოკვეთა — „ფიორენტინამ" ევროტურნირის ორ მატჩს ფლორენციიდან 500 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში უნდა უმასპინძლოს. ეს არ აკმარეს და 75 ათასი ფრანკითაც დააჯარიმეს. სტადიონსაც კარგად მოხვდა ფულადი ჯარიმის სახით. უეფას სადისციპლინო კომისიამ კლუბის რამდენიმე ლეგიონერიც მკაცრად დასაჯა. პორტუგალიელ რუი კოშტას მატჩის შემდეგ არბიტრის გინებისათვის ევროტურნირებზე ოთხი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. იგივესთვის შვედ სტეფან შვარცს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. კიდევ ერთი ლეგიონერი, ბრაზილიელი ლუის ოლივეირა, რომელიც არბიტრმა „ბარსელონასთან" შეხვედრისას სპორტული აფერისტობისთვის გააძევა, უეფამ ევროტურნირებიდან ორი მატჩით დაითხოვა. ამნაირადვე „ბარსელონას" მცველი ნადალი. გაიგო თუ არა უეფას სანქციების შესახებ, „ფიორენტინას" თავკაცობამ ორგანიზაციაში პროტესტის წერილი აფრინა. ჩვენ აღარაფერს შევცვლითო, აცნობეს უეფადან.

მსგავს სიტუაციაში ჩავარდა თემურ ქეცბაიას აეკი. პსჟ-თან თასების თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩის დროს შერეკილობით განთქმულმა ბერძენმა ვაი-გულშემატკივრებმა მოედანზე პეტარდები ისროლეს. მატჩის შემდეგ კი ფრანგებს ხურდები და პლასტმასის ბოთლები დაუშინეს. უეფას დელეგატმა ფაქსი აფრინა უეფაში, ბერძნებს ნამეტანი თავს გასულიათო. აეკ-ის სტადიონს 40 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა დაეკისრა.

უეფამ არც „პორტო" დაინდო. ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალის მერე, პორტუს პოლიციამ პლასტმასის ტყვიებით რამდენიმე ინგლისელი გულშემატკივარი დაჭრა, თვისტომთა და ინგლისელთა ჩხუბი კი არ ალკვეთა. წესრიგისდამცველთა ასეთმა საქციელმა ზოგ თავქარიან პორტუგალიელს მაგალითი მისცა, მათაც დანების ტრიალი დაიწყეს და რამდენიმე ინგლისელს სისხლი ადინეს. ამ ამბის მერე პოლიციამ დამნაშავეები დააკავა, თუმცა აღარაფერი უღონია. უეფამ გუნდს 100 ათასი ფრანკის გადახდა დააკისრა.

ფიფამაც სამხრეთ ამერიკაში დამნაშავენი საკადრისად დასაჯა. 2 აპრილს შესარჩევი ტურნირის მორიგ ტურს აყალმაყალი ახლდა. ბოლივია — არგენტინის მატჩში არბიტრმა ორი არგენტინელი გააძევა. ფიფამ გონსალესს და ზაპატას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მეკარე 1 500, ზაპატა კი 5 000 ფრანკით დააჯარიმა, ვივას და დიასს თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს, მაგრამ თითოეული 3 000 ფრანკით დაისაჯა. პასარელასაც მოხვდა — ფიფამ სიტყვიერად გააფრთხილა, და 10 ათასი ფრანკით დააჯარიმა. მოთამაშეთა გარდა ბოლივიის და არგენტინის ფეხბურთის მამებიც დაისაჯნენ, მასპინძლებს 100 ათასი ფრანკის გადახდა მოუწევთ, არგენტინელებს კი ამის ნახევრის. კოლუმბია — პარაგვაის შეხვედრაში უწესრიგობანი ნაკლები იყო. გაძევებული შილავერი და ასპრილია ფიფამ მკაცრად დასაჯა — შილავერს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 5 ათასის გადახდა, ასპრილიას კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 3 ათასი დააკისრა. დაისაჯა არისტისაბალიც. ჩხუბისთვის იგი სამ მატჩს გამოტოვებს და 5 ათასს გადაიხდის.

ამათ გარდა მასპინძელთა ფეხბურთის ფედერაციასაც მოხვდა, რადგან გაძევებული ასპრილია სათადარიგოთა სკამზე მოკალათდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 მაისი | | | |
| ჰანზა — ბოხუმი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| დიუსელდორფი — არმინია | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| 3 მაისი | | | |
| შტუტგარტი — ზტ. პაული | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ჰამბურგი — ვერდერი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| კიოლნი — კარლსრუე | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ფრაიბურგი — დუისბურგი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი | 2,6 | 2,8 | 2,2 |
| 4 მაისი | | | |
| მიუნხენი — ბაიერნი | 5,0 | 3,1 | 1,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 მაისი | | | |
| ურდინგენი — უნტერჰახინგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ჰერტა — მანჰაიმი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 3 მაისი | | | |
| როტვაისი — ოლდენბურგი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ვოლფსბურგი — აინტრახტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| 4 მაისი | | | |
| ლაიპციგი — ცვიკაუ | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| გიუტერსლოო — ლიუბეკი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| კარლ ცაისი — კიკერსი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| მაინცი — მეპენი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| კაიზერსლაუტერნი — ფორტუნა | 1,3 | 3,4 | 7,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| არსენალი — ნიუკასლი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ჩელსი — ლიდსი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ქოვენთრი — დერბი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლესტერი — მანჩესტერი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ლივერპული — ტოტენჰემი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| მიდლსბრო — ასტონ ვილა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ნოტინგემი — უიმბლდონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| საუთჰემპტონი — ბლექბერნი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| სანდერლენდი — ევერტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ვესტ ჰემი — შეფილდი | 2,3 | 2,8 | 2,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXXVI ტური.

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 მაისი | | | |
| ბრედფორდი — ქ.პ.რ. | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ჩარლტონი — შეფილდი | 2,6 | 2,8 | 2,2 |
| კრისტალ პალასი — პორტ ვეილი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| გრიმსბი — საუთენდი | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ჰადერსფილდი — სვინდონი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| იფსვიჩი — ბირმინგემი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| სიტი — რედინგი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ოლდემი — ნორვიჩი | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ოქსფორდი — ბარნსლი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| სტოკი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ტრანმერი — ბოლტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ვულვერჰემპტონი — პორტსმუთი | 1,4 | 3,3 | 5,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXV ტური.

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| აბერდინი — რეით როვერსი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| დანდი იუნაიტედი — ჰარტსი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| დანფერმლაინი — კილმარნოკი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ჰიბერნიანი — სელტიკი | 4,4 | 3,3 | 1,5 |
| რეინჯერსი — მოზერველი | 1,15 | 4,7 | 9,0X |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| მონაკო — კაენი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| ოსერი — რენი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| მეცი — ბასტია | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლე ავრი — ნიცა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლიონი — ლილი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| პსჟ — ბორდო | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლანსი — მარსელი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| კანი — სტრასბური | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| გინგამი — ნანტი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| მონპელიე — ნანსი | 1,5 | 3,2 | 4,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| ინტერი — ვიჩენცა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 4 მაისი | | | |
| ატალანტა — პარმა | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| იუვენტუსი — სამპდორია | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პერუჯა — ფიორენტინა | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| პიაჩენცა — ბოლონია | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| რეჯანა — კალიარი | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| რომა — ლაციო | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| უდინეზე — მილანი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ვერონა — ნაპოლი | 2,2 | 2,8 | 2,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| ჯენუა — ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| 4 მაისი | | | |
| სალერნიტანა — ბრეშია | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| პადოვა — ჩეზენა | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რავენა — კიევო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ფოჯა — კრემონეზე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| კოზენცა — ლეჩე | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| პალერმო — ლუკეზე | 1,7 | 3,1 | 3,6 |
| ბარი — პესკარა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ემპოლი — რეჯინა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| დი სანგრო — ვენეცია | 1,9 | 2,8 | 3,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXVI ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 მაისი | | | |
| ბილბაო — ვალიადოლიდი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ესტრემადურა — ბარსელონა | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| რეალი — სპორტინგი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| სელტა — ვალენსია | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| დეპორტივო — სევილია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ერკულესი — ლოგრონიესი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ბეტისი — კომპოსტელა | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| რაიო — ტენერიფე | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ოვიედო — სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ესპანიოლი — სოსიედადი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| რასინგი — ატლეტიკო | 2,3 | 2,6 | 2,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 მაისი | | | |
| რეალი B — სალამანკა | 3,8 | 3,3 | 1,6 |
| ბარსელონა B — ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| ოსასუნა — ატლეტიკო B | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ესიხა — ბადახოსი | 4,2 | 3,4 | 1,5 |
| ლას პალმასი — მალიორკა | 3,6 | 3,1 | 17 |
| ორენსე — ალავესი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ალბასეტე — ლევანტე | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| მერიდა — ეიბარი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ლეგანესი — ლეიდა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ალმერია — ტოლედო | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| გიმარაეში — მარიტიმუ | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 4 მაისი | | | |
| ბენფიკა — რიუ ავე | 12 | 4,7 | 7,0 |
| ბრაგა — ფარენსე | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| ჟილ ვისენტე — ესპინიუ | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| პორტუ — ლეცა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| სეტუბალი — ბოავიშტა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლეირია — სპორტინგი | 4,4 | 3,3 | 1,5 |
| შავეში — ამადორა | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ბელენენსეში — სალგეირუში | 24 | 2,6 | 2,4 |

### რუსეთის ჩემპიონატი. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| ცსკა — ჩერნომორეცი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ლოკომოტივი — როტორი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბალტიკა — შინიკი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ნოვგოროდი — ალანია | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| კრილია — ტორპედო | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ზენიტი — სპარტაკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| როსტსელმაში — ჟემჩუჟინა | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| გაზოვიკი — კამაზი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ფაკელი — დინამო | 3,8 | 3,0 | 1,7 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 მაისი | | | |
| ვალვაიკი — უტრეხტი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| 3 მაისი | | | |
| გრააფსხაპი — ჰერენვენი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| 4 მაისი | | | |
| ვოლენდამი — ალკმაარი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ვიტესი — ტილბურგი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| გრონინგენი — აიაქსი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ბრედა — ფეიენოორდი | 5,3 | 3,4 | 1,4 |
| ტვენტე — სიტარდი | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| სპარტა — პსვ | 5,6 | 3,3 | 1,4 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| ბაზელი — გრასჰოპერი | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| ლოზანა — სტ. გალენი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| სიონი — არაუ | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| ციურიხი — ქსამაქსი | 4,7 | 3,2 | 1,5 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| სარიერი — ფენერბაჰჩე | 7,0 | 4,7 | 1,2 |
| 4 მაისი | | | |
| გალათასარაი — ზეითინბურნუ | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| ისტამბული — ბეშიქთაში | 5,6 | 4,0 | 1,3 |
| გენჩლერბირლიგი — ტრაბზონი | 5,3 | 3,8 | 1,35 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 მაისი | | | |
| ზალცბურგი — ლინცერი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| ლინცი — ადმირა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ტიროლი — შტურმი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| გრაცერი — რიედი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 4 მაისი | | | |
| აუსტრია — რაპიდი | 3,8 | 3,0 | 1,7 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | 25 და ნაკლები—1,9 | 27 და მეტი—1,9 |
| ინგლისი | 25 და ნაკლები—1,9 | 27 და მეტი—1,9 |
| საფრანგეთი | 22 და ნაკლები—1,9 | 24 და მეტი—1,9 |
| იტალია | 22 და ნაკლები—1,9 | 24 და მეტი—1,9 |
| ესპანეთი | 28 და ნაკლები—1,9 | 30 და მეტი—1,9 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 მაისი | | | |
| საფრანგეთი — გერმანია | 4,7 | 4,2 | 1,3 |
| ფინეთი — სლოვაკეთი | 1,2 | 4,7 | 6,0 |
| იტალია — ნორვეგია | 1,3 | 4,2 | 4,7 |
| შვედეთი — ლატვია | 1,1 | 5,6 | 7,5 |
| 3 მაისი | | | |
| საფრანგეთი — ჩეხეთი | 7,5 | 5,6 | 1,1 |
| სლოვაკეთი — გერმანია | 1,5 | 3,8 | 3,4 |
| რუსეთი — ფინეთი | 2,8 | 3,8 | 1,7 |
| იტალია — კანადა | 4,7 | 4,2 | 1,3 |
| აშშ — შვედეთი | 4,0 | 4,0 | 1,4 |
| ლატვია — ნორვეგია | 1,7 | 3,8 | 2,8 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.



3-4 მაისი 1997 წ.
15 საათი
სპორტის სასახლე
«კავკასიის თასი -97»
პირველად საქართველოში სამეჯლისო, სპორტული ცეკვების ეროვნული ასოციაცია და მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი აწყობს
«კავკასიის თასის»
გათამაშებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსეთის, დაღესტნის, ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მოცეკვავე შემსრულებლები. აგრეთვე, მოწვეული სტუმრები: გერმანიიდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, ლატვიიდან...
Tbilisi - 96
რეკლამის განთავსების მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: „მუშტაიდის" ბაღი, სამეჯლისო ცეკვების სტუდია «თელა».
ტელეფაქსი: 96-52-75,
ტელეფონი 34-41-51

ბიბლიოთ

## ჰოკეი

### NHL. სტენლის თასი



### ბუფალო 4:3 ოტავა

**ბუფალო — ოტავა 3:2. შაიბები: ოდეტი, პლანტი (2); მაკიზერნი, რედენი**

სასწაული არ მოხდა — ოტავამ, ვერ შეძლო ბუფალოს ძლევა. „სენატორები" უფრო ხშირად უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ბუფალოს გოლკიპერი შილდზი კვლავ საიმედოდ იცავდა კარს. მატჩის მიწურულს კი ბუფალო გააქტიურდა და პლანტმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ოვერტაიმში კი გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

### ანაჰაიმი 4:3 ფინიქსი

**ანაჰაიმი — ფინიქსი 3:0**

ანაჰაიმმა მოახერხა სერიის მოგება და პირველად გავიდა მეორე ეტაპზე. ფინიქსთან ორთაბრძოლის ბოლო მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა „იხვების" გოლკიპერმა ებერმა (31 მოგერიება). ანაჰაიმის მთავარი ძალა — სელიანესა და კარიას დუეტი ამჯერად უგოლოდ დარჩა, მხოლოდ კარიამ გააკეთა ერთი საგოლე პასი.

### დალასი 3:4 ედმონტონი

**დალასი — ედმონტონი 3:4. შაიბები: ჰოგი, ვერბიკი, ბასენი; მიურეი, მირონოვი, კოვალენკო, მარჩანტი.**

მთელი თამაშის განმავლობაში „ვარსკვლავები" უკეთ გამოიყურებოდნენ და სულ წინ იყვნენ, მაგრამ ოვერტაიმში მარჩანტის შორეული დარტყმა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ედმონტონი 1992 წლის შემდეგ პირველად მოხვდა ფლეი-ოფში.

მეოთხედფინალის სერიები 2 მაისს დაიწყება. აღმოსავლეთში ნიუ ჯერზი — რეინჯერზი და ბუფალო — ფილადელფია იდავებენ, დასავლეთში — კოლორადო — ედმონტონი და დეტროიტი — ანაჰაიმი.

/ლიგის უკანასკნელმა „მოჰიკანმა", 37 წლის სენტლუისელმა მაკინისმა (213 შაიბა და 267 პასი) განაცხადა, რომ ამთავრებს კარიერას.

პირველი ეტაპის ბომბარდირები: საკიკი 12 (3+9), კ. ლემიე (ორივე — კოლორადო) 10 (5+5), კარია (ანაჰაიმი) 9 (5+4), ლინდროსი (ფილადელფია) 9 (3+6), ჰალი (სენტ ლუისი) და ფორსბერგი 9 (2+7), კამენსკი (ორივე — კოლორადო) და სელიანე (ანაჰაიმი) 8 (5+3), იაგრი (პიტსბურგი) 8 (4+4), მაკლინი (ნიუ ჯერზი) 8 (3+5), უეიტი (ედმონტონი) 8 (2+6).

სნაიპერები: ტკაჩუკი (ფინიქსი) 6, კამენსკი, სელიანე, კ. ლემიე, კარია და ალფრედსონი (ოტავა) 5.

ასისტენტები: საკიკი 9, რონინგი (ფინიქსი), ფორსბურგი და ჰალი 7.

**სამველ ლარიბიანი**



### მსოფლიოს ჩემპიონატი

28 აპრილი

**„A" ჯგუფი. რუსეთი — გერმანია 5:1, სლოვაკეთი — საფრანგეთი 5:3**

**„B" ჯგუფი. იტალია — ლატვია 5:4, აშშ — ნორვეგია 3:1**

რუსებმა და სლოვაკებმა ერთმანეთთან დაზავების შემდეგ პირველი მოგებები ჩაიწერეს აქტივში. რუსებმა, მიუხედავად დიდი ანგარიშისა, იოლად ვერ სძლიეს გერმანელებს, თუმცა მათი უპირატესობა მაინც იგრძნობოდა. ბოლო წუთზე, როდესაც 3:1 იყო რუსების სასარგებლოდ, გერმანელებმა მეკარე მე-6 მოთამაშით შეცვალეს, მაგრამ სარმატინმა დასაჯა მეტოქე, ხოლო როცა გოლკიპერი ჰაისი კარს დაუბრუნდა, მოროზოვმა საბოლოო წერტილი დაუსვა თავისიანების გამარჯვებას.

სლოვაკებმა ძალზე უხეიროდ დაიწყეს მატჩი ფრანგებთან და უკვე მეხუთე წუთზე 0:2 აგებდნენ, მაგრამ მალე გამოცოცხლდნენ და ზედიზედ 5 შაიბა შეაგდეს — აქედან ორი კონცეკის ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ სლოვაკთა პირველი სამეული, სადაც ერთადერთ ნჰლ-ელ შტუმპელთან გამოცდილი კონლიკი და ციგერი არიან შეამხანაგებული, დიდად არ გამორჩეულა.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტის — ლატვიის ნაკრების მარცხის მიზეზი კვლავ გამოუცდელობა იყო. ყოფილი რიგის „დინამოსგან" დაკომპლექტებულმა გუნდმა ამჯერადაც მშვენიერი თამაში აჩვენა, თანაც, წინა მატჩისგან განსხვავებით, თავად დაწინაურდა — 4:1, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავისი კარის დაცვაზე ეზრუნა, ბალტიისპირელები კვლავ შეტევაზე ფიქრობდნენ და სასტიკადაც დაისაჯნენ. იტალიელებმა ორლანდომ (1+2) — მარილო (2+1) — ტოპატიგის წამყვანი სამეულის ძალისხმევით 2 ქულა გამოგლიჯეს მეტოქეს.

ამერიკელებმა, რომლებსაც ტრავმის გამო ნჰლ-ის წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა ბერარდი აკლდათ, დიდი გაჭირვებით მოუგეს ნორვეგიელებს, თანაც ბოსტონელი დონატოს მიერ გატანილი გადამწყვეტი შაიბა მსაჯთა დიდი დავის საგანი შეიქნა, რომელთაც ბოლოს, როგორც იქნა, ჩათვალეს იგი.

29 აპრილი

**„A" ჯგუფი. ფინეთი — გერმანია 6:0**

**„B" ჯგუფი. შვედეთი — ნორვეგია 4:1**

სასტარტო მატჩში განადგურებამ ნორვეგიელები გამოაფხიზლა და ჩრდილოელებმა მრისხანე მეტოქეს აგრძნობინეს, რომ ქულების ჩუქებას სულაც არ აპირებდნენ. ისევე როგორც ამერიკელებთან შეხვედრაში, ახლაც ნორვეგიელები დაწინაურდნენ, შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში ანგარიში 1:1 იყო და მხოლოდ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის — ნიულანდერის ოსტატობამ მოუტანა შვედებს ზედიზედ მესამე გამარჯვება, რის შემდეგაც სკანდინაველებმა პირველებმა გაინაღდეს ფინალურ ექვსეულში გასვლა. ნიულანდერმა ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ ჯერ პარტნიორი ეკლუნდი მოამარაგა საგოლე პასით, შემდეგ კი თავად შეაგდო და 6 (4+2) ქულით პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მეორე მატჩი კი ფინელებისა იყო. მათ ჩინებული მართლაც რომ საჩემპიონო თამაში აჩვენეს და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ — ინდივიდუალური რეიდებიც და ლამაზი კომბინაციებიც. ფინელებს ძალლონე მონრეალელი სუპერვარსკვლავის კოივუს ჩამოსვლამ შეჰმატა, რომელმაც ამ ულამაზეს მატჩში ანგარიში გახსნა. მიუხედავად ჩეხებთან წაგებისა, ფინეთი კვლავ რჩება ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად.

**სამველ ლარიბიანი**

„A" ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 4:2 | 4 |
| ფინეთი | 2 | 0 | 1 | 13:3 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 7:3 | 3 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 7:5 | 3 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 2 | 4:11 | 0 |
| გერმანია | 0 | 0 | 3 | 2:13 | 0 |

„B" ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 16:6 | 6 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 8:5 | 4 |
| კანადა | 1 | 0 | 1 | 9:7 | 2 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | 8:9 | 2 |
| ლატვია | 0 | 0 | 2 | 8:10 | 0 |
| ნორვეგია | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |

## კალათბურთი

### NBA. ფლეი-ოფი

პირველი წრე

**აღმოსავლეთი**

**მაიამი — ორლანდო 2:1**

29 აპრილი: ორლანდო — მაიამი 88:75

**ნიუ იორკი — შარლოტი 3:0**

28 აპრილი: ნიუ იორკი — შარლოტი 104:95. ნიუ იორკი გავიდა შემდეგ წრეში

**ატლანტა — დეტროიტი 1:2**

29 აპრილი: დეტროიტი — ატლანტა 99:91

**ჩიკაგო — ვაშინგტონი 2:0**

**დასავლეთი**

**იუტა — კლიპერზი 3:0**

28 აპრილი: იუტა — კლიპერზი. იუტა გავიდა შემდეგ წრეში

**სიეტლი — ფინიქსი 1:2**

29 აპრილი: ფინიქსი — სიეტლი 110:103

**ჰიუსტონი — მინესოტა 3:0**

29 აპრილი: ჰიუსტონი — მინესოტა 96:84. ჰიუსტონი გავიდა შემდეგ წრეში

**ლეიკერზი — პორტლენდი 2:0**

### დაცვის ხუთეულებიც დადგინდა

ნბა-მ დაასახელა სეზონის დაცვის ხუთეულები. პირველ წრეში მოხვდნენ: გერი პეიტონი (სიეტლი), მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო), სკოტი პიპენი (ჩიკაგო), კარლ მელოუნი (იუტა), დიკემბე მუტომბო (ატლანტა). მეორე გუნდი: ჯონ სტოქტონი (იუტა), მუკი ბლეილოკი (ატლანტა), ენტონი მეისონი (შარლოტი), ფი. ჯეი. ბრაუნი (მაიამი), ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი). მაიკლ ჯორდანმა გაიმეორა ნბა-ს რეკორდი: იგი მერვედ მოხვდა ასოციაციის დაცვის პირველ ხუთეულში.

## ჩოგბურთი

### დაბლა დაეშვნენ

იტალიის ქალაქ ბარიში ფედერაციის თასის გათამაშების პირველ ლიგაში (ამის ზევით უმაღლესი ლიგაა) წარუმატებლად გამოვიდნენ ქართველი ჩოგბურთელი ქალები. მათ ჯგუფში სამივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით 0:3 წააგეს ისრაელის სლოვენიის და ლიტვის გუნდებთან და გაისისთვის უფრო დაბალ, მეორე ლიგაში იასპარეზებენ.

### თორმეტი წლის შემდეგ

ხვალ ლელა მესხის აკადემიის კორტებზე საქართველოს ნაკრები დევისის თასზე სლოვენიის გუნდთან სცდის ძალას. დევისის თასის გათამაშებას თბილისმა პირველად 1968 წელს უმასპინძლა, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრები ალექსანდრე მეტრეველის ლიდერობით საბერძნეთის გუნდს ეთამაშა. სხვადასხვა დროს თბილისში ჩამოსულან რუმინეთის, უნგრეთის, მონაკოს, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებები. მაყურებელი მოწმე მეტრეველის და მეორე ცნობილი ქართველი ჩოგბურთელის თეიმურაზ კაკულიას ორთაბრძოლებისა ისეთ ოსტატებთან, როგორებიც იყვნენ რუმინელები ილიე ნასტასე და იონ ცირიაკი, ჩეხოსლოვაკიელი მიროსლავ მეჩირჟი, უნგრელი ბალაშ ტაროცი, ბერძენი ნიკოს კალაგეროპულოსი და სხვანი. ბოლოს დევისის თასის მატჩი თბილისში 1985 წელს გაიმართა, როცა საბჭოთა ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდი მიიღო.

მიუხედავად ამისა, ხვალინდელ შეხვედრას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არის დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრების პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე. ამიტომაცაა, რომ მასპინძლები განსაკუთრებით ემზადებიან ამ შეხვედრისთვის. ჩვენ ვესაუბრეთ ჩოგბურთის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს არჩილ კეკელიას.

— კორტის მოსამზადებლად დიდი სამუშაოები ჩატარდა და მიუხედავად იმისა, რომ უამინდობამ ხელი შეგვიშალა, კორტი მზადყოფნაშია. მთლიანად შეიცვალა კორტის მიწის საფარი. დამონტაჟდა ახალი ტრიბუნა, რომელიც ცალკე დასაჯდომ ადგილებს ითვალისწინებს, დაიდგა ახალი მექანიკური ტაბლო, მსაჯთა სკამები, ალმების ასასმართი ანძები, ახალი ბადე. კორტზე იმუშავებს ორი ბარი, ერთი უშუალოდ კორტთან, მეორე — აკადემიის შენობაში, აგრეთვე მომზადდა მოთამაშეთა მოსასვენებელი ადგილები. უდიდესი შრომა გავწიეთ, რამაც საშუალება მოგვცა, მომზადებული შევხვედროდით ასეთი დონის თამაშს. მატჩის მთავარი სპონსორია ფირმა „ჰაინეკენი", რომელმაც ჩატარებული სამუშაოების დაფინანსება იკისრა. ახლა ჯერი სპორტსმენებზეა.

საქართველო სლოვენიის ნაკრებთან ერთად დევისის თასზე მეორე ლიგის ევროაფრიკულ ჯგუფშია. გამარჯვებული ნორვეგია — ნიგერიის წყვილში მოგებულს შეხვდება და თუ იქაც წარმატებას მიაღწევს, იუგოსლავია — პორტუგალიის წყვილში საუკეთესოს შეებრძოლება პირველ ლიგაში გადასასვლელად. დამარცხების შემთხვევაში კი ნორვეგია — ნიგერიის მატჩში დამარცხებულს შეხვდება ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

საქართველოს ნაკრები უკანასკნელ ვარჯიშებს ატარებს სლოვენებთან მატჩის წინ. გუნდში 4 ჩოგბურთელია: საქართველოს ჩემპიონი ვლადიმერ მარგალიტაძე, დავით კაჭარავა, ვლადიმერ გაბრიჩიძე და გივი სამხარაძე. ვინ რომელ შეხვედრას ითამაშებს, მატჩის წინ გაირკვევა.

სლოვენთა ექვსკაციანი გუნდი უკვე თბილისშია და კორტებზე ივარჯიშა.

დევისის თასის მატჩები 2-4 მაისს გაიმართება. 2-ში და 4-ში შეხვედრები 13 საათზე დაიწყება, 3-ში, წყვილთა შეხვედრა კი — 15 საათზე.


**გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?**

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა-სკ"-ს. თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა, სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლოთ? მოაკითხეთ „ელიტა-სკ"-ს.

„ელიტა-სკ"-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა-სკ"-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25


## ძიუდო

### ძიუდოისტებმა დაასახელეს შემადგენლობა

8-11 მაისს ბელგიის ქალაქ ოსტენდეში გაიმართება ევროპის მორიგი ჩემპიონატი ძიუდოში. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა შოთა ხაბარელმა დაასახელა ის 8 ძიუდოისტი, რომელიც კონტინენტის პირველობაზე იასპარეზებს: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი (65 კგ), გიორგი ვაზაგაშვილი (71 კგ), სოსო ლიპარტელიანი (78 კგ), გიორგი წმინდაშვილი (86 კგ), ივერი ჯიქურაული (95 კგ), დავით ხახალეიშვილი (მძიმე), ალექსი დავითაშვილი (აბსოლუტური).

ნაკრები ამჟამად თბილისში იმყოფება შეკრებაზე, ბელგიაში კი, ფრანკფურტის გავლით 3 მაისს გაემგზავრება.

### კადეტების ვერცხლ-ბრინჯაო

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კადეტთა (1981-82 წლებში დაბადებულები) შორის. შეჯიბრებამ თავი 15 ქვეყნის ფალავნებს მოუყარა. ჩვენებურთა ნადავლი ამგვარია — ვერცხლი: გელა ბარათაშვილი (55 კგ), ვანო ნადირაშვილი (71 კგ), დათო ტყეშელაშვილი (86 კგ), დათო გასვიანი (მძიმე); ბრინჯაო: მორის თადუმაძე (60 კგ), გია მამრიკიშვილი (65 კგ), ლაშა ფეიქრიშვილი (86 კგ)

ტურნირში იასპარეზეს ქართველმა გოგონებმაც. მათგან საუკეთესო ია თურქიშვილი (52 კგ) გახლდათ, რომელმაც მესამე ადგილისთვის შეხვედრა ხანტეით წააგო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი გოგონები სულ რამდენიმე თვეა რაც ძიუდოში ვარჯიშობენ, შედეგს ურიგო ნამდვილად არ ეთქმის.

## ჭიდაობა

### პოლონეთში, ევროპაზე...

7-10 მაისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრები 4 მაისს მიემგზავრება და შემადგენლობაში ეს ფალავნები არიან: გოჩა კირკიტაძე (54 კგ), დავით პოლოსიანი (58 კგ), ემზარ ბედინეიშვილი (669 კგ), დავით ხურცია (85 კგ), ელდარ კურტანიძე (97 კგ), მამუკა ფრეწუაშვილი (მძიმე).

გუნდის მთავარ მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს დახმარებას გაუწევენ გია გალდავა და კობა ლოჩოშვილი. დელეგაციას კი ფედერაციის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი უთავკაცებს.

## ავტორბოლა

### CART ოთხი ეტაპი — ოთხი გამარჯვებული

CART-ის სერიის მორიგი ეტაპი პენსილვანიაში, ანდრეტების მშობლიური ქალაქის ნარეთის ოვალზე გაიმართა. თუმცა, ამ 1 მილიანი სიგრძის ტრეკს ოვალი პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან იგი უფრო წვეროებმომრგვალებულ სამკუთხედს წააგავს. ავტოდრომი როჯერ პენსკეს ეკუთვნის და ფავორიტებად მაიკლ ანდრეტისთან ერთად მისი პილოტები — ტრეისი და ანსერიც ითვლებოდნენ.

პარასკევის ვარჯიშზე ტრეისიმ ტრასის ახალი რეკორდი — 19,024 წმ (189,235 მ-სთ) დაამყარა, ანსერი მესამე იყო, ანდრეტი — მეოთხე. შაბათის კვალიფიკაციაზე, რომელზეც ორი ჩასათვლელი წრიდან საუკეთესოს ითვალისწინებენ, კარგა ხანს ანდრეტი ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ ტრეისიმ აჯობა და წინა დღის რეკორდიც გააუმჯობესა — 18,947 წამი (191,174 მილი-სთ) მესამე შედეგი ჩემპიონატის დებიუტანტს, კანადელ კარპენტიეს ჰქონდა. საოცრად სუსტად გამოვიდა ალექს ზანარდი, რომელმაც თავის ამერიკულ კარიერაში ყველაზე უარესი, 21-ე შედეგი აჩვენა.

სტარტზე პილოტები ასეთ თანმიმდევრობით გამოვიდნენ:

ტრეისი (პ-მ), ანდრეტი (ს-ფ); კარპენტიე (რ-მ), დე ფერანი (რ-ჰ), გუჟელმინი (რ-მ), ბოესელი (რ-ფ); ანსერი (პ-მ); რაჰალი (რ-ფ), ჰერტა (რ-ფ); მური (რ-მ), პრუეტი (რ-ფ), ვასერი (რ-ჰ), სალეში (რ-ფ); ჰერნი (ლ-ფ), რიბეირო (ლ-ჰ), ბლანდელი (რ-მ), ჯონსტონი (რ-ჰ); ფრანკიტი (რ-მ), ფერნანდესი (ლ-ჰ), მორენო (რ-ფ), ზანარდი (რ-ჰ); პაპისი (რ-ტ); პ-ჯ ჯონსი (რ-ტ), ჟურდანი )ლ-ფ), ვანხიო (რ-ტ); მაცუშიტა (რ-ტ).

სტარტი ტრეისიმ მოიგო, მას ანდრეტი და კარპენტიე მიჰყვნენ. ზანარდიმ მოახერხა და მე-17 პოზიციაზე გადაინაცვლა. მე-6 წრეზე მსაჯებს ყვითელი ალმების გამოფენა მოუხდათ (მათ ეს კიდევ 9-ჯერ გააკეთეს მთელი რბოლის განმავლობაში). მე-19 წრეზე, რესტარტის შემდეგ კვლავ ტრეისი გავიდა წინ და ანდრეტის 1 წამამდე უგებდა. 35-ე წრეზე ანდრეტიმ ტრასის შიგა მხრიდან გაასწრო ტრეისის და დაწინაურდა, მაგრამ მალე საბურავის დაზიანების გამო ბოქსებში შესვლა მწვანე ალმების დროს მოუწია, ჩამორჩა და იქიდან დაბრუნებული მე-17-ზე აღმოჩნდა. ლიდერობა კვლავ ტრეისის დარჩა, რომელმაც ერთ-ერთ მომდევნო ყვითელი ალმით ისარგებლა და ბოქსებში შევიდა. იქიდან დაბრუნებული ბოესელის უკან მოექცა. ბრაზილიელი 20 წრის განმავლობაში ლიდერობდა, შემდეგ კი ტრეისიმ დაიბრუნა პირველობა. ანდრეტი თანდათან იუმჯობესებდა პოზიციას და ამ დროს 14 წამს აგებდა ლიდერთან. 120-ე წრეზე ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობა იყო: ტრეისი, დე ფერანი, გუჟელმინი, ანსერი, ანდრეტიმ მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა, მალე კი ანსერს ჩაუდგა კვალში. მაყურებელი კარგა ხანს შეაქცია ამ ორი მეტოქის გვარის (ერთ დროს მათი მამები ექიშპებოდნენ ერთმანეთს ტრასებზე) წარმომადგენელთა დუელმა, წყვილმა მალე მეორე — მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ცოტა ხანში კი ანდრეტიმ მშვენივრად ჩამოიტოვა ანსერი და ლიდერს აედევნა. მალე მათ შორის სხვაობა მხოლოდ 0,2 წამამდე შემცირდა და ანდრეტი მოხერხებულ მომენტს ეძებდა კანადელის გასასწრებად. ამ დროს ტრასაზე კვლავ ყვითელი ალმები გამოფინეს და პილოტთა ვნებები ოდნავ დაცხრა. პეის-კარის უკან ანდრეტი და ტრეისი ერთად იდგნენ. მაიკლი რესტარტის შეუდარებელ ოსტატად ითვლება და ტრეისის მეტი ყურადღება მართებდა პირველობის შესანარჩუნებლად. 190-ე წრეზე, პეის-კარის „გაუჩინარების" შემდეგ კანადელმა პირველმა უმატა სიჩქარეს და ადგილი შეინარჩუნა. 4 წრის შემდეგ კი ჰერნმა ჯონსტონის გასწრება გარე მხრიდან სცადა, ამ უკანასკნელმა კი მას „კარი მიუხურა", რამაც ორივე ბოლიდი ნამსხვრევებად აქცია. კვლავ ყვითელი ალმები და ნელ ტემპში მოძრაობა. რე-სტარტი ისევ ტრეისიმ მოიგო. ანდრეტი გამუდმებით უტევდა კანადელს, ხან ჩამორჩენილებმა შეუშალეს ხელი, ხანაც კანადელმა მოახერხა შეტევის მოგერიება და ის-ის იყო, მაიკლი საბოლოო შეტევისათვის მოემზადა და გაუთანაბრდა კიდეც კანადელს, რომ მსაჯებმა კვლავ ყვითელი ალმებიააფრიალეს და ნაზარეთელს მანევრის დამთავრება არ აცადეს.

პოლ ტრეისიმ როჯერ პენსკეს გუნდს, რომელსაც 1995 წლის ვანკუვერის რბოლის შემდეგ არ მოეგო, 97-ე გამარჯვება მოუპოვა. ანდრეტიმ ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში ლიდერობა დაიბრუნა.

ჩემპიონატში ვითარება საკმაოდ დაძაბულია, პირველ ოთხ ეტაპზე ოთხმა სხვადასხვა პილოტმა იზეიმა გამარჯვება, რაც მომავალში საინტერესო პაექრობას გვპირდება.

**ალეკო ჭაბუკიანი**

რბოლის შედეგები

დისტანცია 225 წრე — 225 მილი

| | |
|---|---|
| 1. ტრეისი (პენსკე-მერსედესი) | 20 ქულა |
| 2. ანდრეტი (სვიფტ-ფორდი) | 16 |
| 3. ალ ანსერი (პენსკე-მერსედესი) | 14 |
| 4 დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა) | 12 |
| 5 ვასერი (რეინარდ-ჰონდა) | 10 |
| 6 რაჰალი (რეინარდ-ფორდი) | 8 |
| 7. ჰერტა (რეინარდ-ფორდი) | 6 |
| 8. ბოესელი (რეინარდ-ფორდი) | 5 |
| 9. გუჟელმინი (რეინარდ-მერსედესი) | 4 |
| 10. პრუეტი (რეინარდ-ფორდი) | 3 |
| 11. ზანარდი (რეინარდ-ჰონდა) | 2 |
| 12. კარპენტიე (რეინარდ-მერსედესი) | 1 |

პოლ ტრეისიმ 1 ქულა მიიღო პოულისათვის და 1 ქულა ლიდერობისათვის.

პირადი პირველობა

1. ანდრეტი 51 ქულა; 2. პრუეტი 47; 3. ტრეისი 45; 4. ზანარდი 43; 5. ვასერი 29; 6-7. გუჟელმინი და მური 28; 8. ანსერი 26; 9. დე ფერანი 23; 10. ჰერტა 17.

## შინაური რაგბი

# თავის ქიას გაახარებენ?!

წინა „სარბიელში“ ქვეყნის მორიგი პირველობის თამაშთა განრიგი კი გვეწერა, მაგრამ იგი თურმე შეიძლება მთლად უვარგისი შეიქნეს.

საქმე ისაა, რომ განრიგში მოხსენიებულ ოთხ გუნდს — „ყოჩებს“, „ქორებს“, „აიასა“ და „გელათს“ რაგბის კავშირის ოფისში გუშინწინ ჯერაც არ მიეტანათ განაცხადი და მონაწილეობის შესატანი. ამგვარი სიზანტის საბაბი კლუბთა ხელმოკლეობაა, მიზეზი კი — ძვალ-რბილში გამჯდარი უწესრიგობა.

საბუთების წარდგენის ბოლო ვადა დღეს 15 საათია. თუ გუნდები არ მიდგნენ-მოდგნენ, არ შეაწუხეს პატრონები და კავშირის ქადილს ყური არც ახლა ათხოვეს, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ნაღდ ფარსად იქცევა, რაკი მასში ძლიერ და სახელოვან გუნდთა ნახევარზე მეტი ვერ ითამაშებს.

რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძეს მობეზრებია ამ გუნდების უფროსობასთან ლოლიაობა. ქართული რაგბის მესაჭემ მათ განაცხადის შეტანის ვადად ჯერ 1 მარტი დაუნიშნა, მერე — 1 აპრილი, ბოლოს კი — 1 მაისიც. ამით არაფერი შეცვლილა — ზემოთხსენებულები ყურსაც არ იბერტყავენ.

პრეზიდენტმაც კონტრ-ზომებს მიმართა: ახალი, 5-გუნდა პირველობის დებულება შეადგინინა. მის თანახმად „გუმარი“, „ქიმიკოსი“, ასკ, „დინამო“ და „თბილისი“ 4 წრედ ითამაშებენ, შეჯიბრში დაუშვებელ გუნდებს კი საგაისოდ I ჯგუფში შეენახებათ ადგილი.

ხუთეული ითამაშებს, მაგრამ „ქიმიკოსის“ გარდა „გუმარს“ ვერავინ გაუძალიანდება. ბარაქიან რაგბსაც ველარ ვიხილავთ. სამაგიეროდ, დროებით მოკვეთილ გუნდებს სალაპარაკო მასალა ბლომად მიეცემათ.

— კავშირის ამჟამინდელ უფროსობას მეტად გააკრიტიკებენ. იქნებ ამბოხდნენ და ცალკე გაერთიანებაც შექმნან; გაითამაშონ „აზარფეშის თასი“. ამასთან, ვინძლო დიდი ხნის გულის წადილიც აისრულონ:

ახარონ ჭია — ითამაშონ ველური, რეკრეაციული რაგბი, რომელშიც მოედნის დახაზვა, კარის აღმართვა, ოქმის შევსება და ანგარიშის დათვლა სავალდებულო სულაც არ იქნება, მსაჯის ცემაც დაუსჯელად შეგრჩება, ნაირფერი კვართების ჩაცმისთვის კი მავანი ასოკირკიტა ველარ დაგტუქსავს.

მერე კავშირმა რაღაო? — რა და უპატრონოს „ბორჯღალოსნებს“, მითუმეტეს, თუ პორტუგალიასთან წაგებით საქმე გაფუჭდა. კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს საფრანგეთიდან შემოუთვლია, რომ ფირა-ს პირველობის ლათინი ოლრაშები სამაგალითოდ დასჯას უპირებენ მერაბ ბესელიას, გია გიუნაშვილს და კიდევ ... ვანო ნადირაძეს, რომელიც უთუოდ იმიტომ გამოურჩევიათ, რომ საფრანგეთში თამაშობს, დერეფანს მარჯვედ იგებს, ლელოები გააქვს და უნამუსო მსაჯსაც მცემელთაგან იცავდა. ჩვენებმა მატჩის ვიდეო-კასეტა გუშინ ევროპას გააგზავნეს, მაგრამ ფირა-ელები განა იმის ჩიტები არიან, რომ იგი პოლონეთი — საქართველოს 10 მაისის მატჩამდე გაარჩიონ?!

## კრივი

# მხნე ბებერი

წვრილშვილის მამისა და ბაბუის, მოხალისე მღვდლისა და ლაზღანდარა ქადაგის, 48 წლის ჯორჯ ფორმენის სპორტული დღეგრძელობა უკვე აღარავის ეუცხოება. საზოგადოებას ალბათ არც იმის შეტყობა გააკვირვებს, რომ დიდი ჯორჯი XXI საუკუნეშიც აპირებს კრივობას და იქადნება, რინგიდან არ წავალ, თუ ოდენ დამამარცხებენ; აი, როცა მაგრად მეეჟენ, მაშინღა დავკიდებ ხელთათმანებს ლურსმანზეო.





ფორმენი დღესდღეობით სიაფანდზე სიაფანდი, მეხუთე საკრივო გაერთიანების — მსოფლიო საბჭოს (ვბშ) მძიმეწონოსანი ჩემპიონია, მაგრამ ატლანტიკ-სითის შერკინების გამო ალბათ მორიგ შარში გაეხვევა: ზედ ჩხუბის წინ გაირკვა, რომ ვბშ-ს მსაჯები არ მოწონებოდა და ტიტულის გათამაშებას უკვე უარს იყო.

ასეა თუ ისე, ბებერმა ჯორჯმა მორიგი მოგებით მაინც ძლიერ გაიხარა, თუმცა სავარეზისგან საკმაოზე მეტი იგემა.

როიტერი ატლანტიკ-სითიდან

253-გირვანქიანი (114,8 კგ) ფორმენი შაბათს, ატლანტიკ-სითის „ქონვენშენ სენთერში“ ერკინა 31 წლის 230-გირვანქიან ლუ სავარეზის (104,4 კგ), რომელიც უწინ ხელის ბიჭად — სპარინგ-პარტნიორად ყოლია, მაგრამ მატჩის წარდგენაზე წაიანგლა და თქვა, ამ ყმაწვილს რაღაც ვერ ვიხსენებო.

ეს სავარეზი თავისთავად ვერაფერი მოკრივე ყოფილა: მართალია, 36 შერკინებიდან ყველა მოიგო (30 ნოკაუტით), მაგრამ ვილაც უჯიშოები დაემარცხებინა და ნოემბერში ისე-რა მებრძოლის — ბასთერ-მათის უმცროსის გალახვამდე ფაქტობრივად არავინ იცნობდა.

ფორმენმა სავარეზი თავად ამოირჩია სიიდან, საკაბელო ტელექსელმა „ეიჩ-ბი-ოუმ“ რომ წარუდგინა. არადა, ამ სიაში ტაისონის პირველი გამლახველი — ბასთერ დაგლასიც ეწერა.

ცოდვა გამხელილი ჯობს და ტაისონთან და ამჟამინდელ ნაღდ ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდთან შებმა ფორმენსაც გულითა სურს, მაგრამ სავარეზისთან ჩხუბის დრო რომ დაუდგა, მოკრძალებით განაცხადა, მხოლოდ დღევანდელ ბრძოლაზე ვფიქრობო.

კრივი რიგიანი გამოვიდა. 12 რაუნდის მანძილზე ერთი ნოკდაუნიც არ აღნუსხულა, მაგრამ 7 ათასმა მოსეირემ მაინც ფრიად ისიამოვნა. ფორმენმა კარიერის მანძილზე ოდენ მერვედ გაიმარჯვა ქულებით, თანაც — არა ერთხმად: შაფეუ რაშადამ ცოტა საეჭვოდ დათვალა ბებრის სასარგებლოდ 118-110, ბარბარა პერესმა ჯორჯს 115-112 გაამარჯვებინა, ელ დევიტომ კი სავარეზის 114-113 დაუჭირა მხარი. „ასოშიეითიდ პრესის“ აზრით ფორმენმა 115-112 აჯობა ჭეელ მეტოქეს.

სავარეზი მთელი ჩხუბის მანძილზე მეტოქეს ერთობ ახლო ედგა. ჯორჯიც მუშტებს გამეტებით უშენდა. ლუმ თავი იმართლა, ფორმენმა პირველსავე რაუნდში თვალი რომ ჩამილურჯა, ველარაფერს ვხედავდიო. ჯორჯმა დიდად შეაქო ბიჭი, მიკვირს, ამდენი როგორ გამიძლოო.

სავარეზიმ ბრძოლის პირველ ნახევარში სამი რაუნდი მოიგო, მაგრამ VIII-დან მოყოლებული დიდმა ჯორჯმა შეუტია მარცხენა ჯებებითა და ჰუქებით. XI რაუნდში სავარეზის ქამარს ქვემოთ დარტყმისთვის რეფერი ედი ქოთონმა ქულა დაუქვითა.

ლუმ მეტოქეს მეტი მოუქნია. ფორმენმა მეტი გაარტყა. კომპიუტერული ანალიზით დადგინდა, რომ ფორმენის 233 ჯებიდან შედეგიანი 128 იყო. სავარეზის ანალოგიური მაჩვენებელი 296-დან 107-ია.

დასასრულ, არჩივისაცა ვთქვათ: ფორმენს 4 მილიონი დოლარი ერგო, სავარეზის — 250 ათასი. ფორმენის ბალანსი ამ შერკინების შემდეგ 76 მოგება (68 ნოკაუტი) და 4 წაგებაა.

ლუკა ჯორჯიაშვილი

„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

**დღეს, ხუთშაბათს, 1 მაისს**

7.30 კალათბურთი: ნბა. პლეი-ოფის რჩეული მატჩი (პ); 10.00 აზიური სპორტის სეირი; 10.30 გოლფი: პროფ-ტურის მთავარი პირველობა. ბოლო დღე. ფლორიდიდან; 12.30 კრიკეტი: ინგლისის საგრაფოთა ბენსონ-ენდ-ჰეჯისის თასი. გლოსთერშირი — სარი; 19.30 რესლინგი; 20.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. III თითოდღიანი (რ); 21.30 ამერიკული ბურთაობა: მსოფლიო ლიგა (მ); 22.00 კალათბურთი: ნბა (-); 24.00 გოლფი: დიდი გრინსბროს კრაისლერის კლასიკური. III დღე; 2.00 ამერიკული ბურთაობა (-); 2.30 კრიკეტი: გლოსთერშირი — სარი (-)

**ხვალ, პარასკევს, 2 მაისს**

9.30 გოლფი: ევროპის ტური. ესპანეთის პეჯოს ღია პირველობა (რ); 10.30 კალათბურთი: ნბა (-); 12.30 ამერიკული ბურთაობა (-); 13.00 გოლფი: დიდი გრინსბრო (-); 15.00 კრიკეტი: ბენსონ-ენდ-ჰეჯისის თასი. გლემორგანი — მიდლსექსი (პ); 18.30 კალათბურთი: ნბა (მ); 19.00 კრიკეტი (გაგრძელება); 23.00 გოლფი: დიდი გრინსბრო. ბოლო დღე; 1.00 რესლინგი; 2.00 კრიკეტი: გლემორგანი — მიდლსექსი (-)

**ზეგ, სამშაბათს, 3 მაისს, დღემდე**

9.00 ნბა (მ); 9.30 აზიური ფეხბურთის სეირი; 10.30 ინდური სპორტი; 11.00 კრიკეტის კვირეული (მ); 11.30 რესლინგი; 12.30 ნბა (მ); 13.00 გოლფი: დიდი გრინსბრო (-); 15.00 ამერიკული ბურთაობა (-); 15.30 რესლინგი

**დღეს, ხუთშაბათს, 1 მაისს**

11.30 ყინულის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (მ); 12.00 საგიუმაყო ჟურნალი „სრბოლა“; 12.30 მოტო-კროსის ჟურნალი „უგზოოდ“; 13.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები; 14.30 ავტოჟურნალი „ძრავები“; 15.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის წუხანდელი მატჩები (რ); 17.00 ფეხბურთი: ამხანაგური მატჩი. ბრაზილია — მექსიკა; 18.30 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. გერმანიიდან; 19.00 ველორბოლა: ფრანკფურტის დიდი პრიზი; 20.00 ჰოკეი (მ); 20.30 ჰოკეი: მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა — აშშ (პ); 23.00 ჰოკეი: (-) ჩეხეთი — რუსეთი; 1.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. სან-მარინო — პოლანდია, სომხეთი — ჩრდ. ირლანდია, თურქეთი — ბელგია; 3.00 ჰოკეი (მ); 3.30 აფროსნობის ჟურნალი; 4.00 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ“ (4.30-მდე)

**ხვალ, პარასკევს, 2 მაისს**

11.30 ჰოკეი (მ); 12.00 აფროსნობის ჟურნალი; 12.30 მსოფლიო ავტოსპორტის ჟურნალი; 13.30 ჰოკეი (მ); 14.00 ფეხბურთი: წუხანდელი მატჩები (რ); მოტოციკლი: ესპანეთის დიდი პრიზი. ვარჯიში. ხერესიდან (პ) (16.00 - 125 კუბ. სმ, 17.00 - 500 კუბ. სმ, 18.15 — 250 კუბ. სმ); 19.15 ჩოგბურთი: ჩეხეთის ღია პირველობა. მეოთხედფინალი. პრალიდან (პ); 21.00 ჰოკეი: (-) შვედეთი — ლატვია (პ); 23.30 ჰოკეი: (-) ფინეთი — სლოვაკეთი; 24.30 ჰოკეი: იტალია — ნორვეგია; 1.00 მოტოციკლი: ხერესი (რ); 2.00 ჰოკეი (მ); 3.00 ჰოკეი: საფრანგეთი — გერმანია (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## სამხრეთ-ნახევარსფეროული რაგბი

### ზე-12-ის სერიალი

# ქემფიზი თუ გვიშველისო

IX კვირა

25.04. ქრაისთჩერჩი (10 ათასი მაყურებელი). ქენთებრი (ზელანდია) 23 (11) (3ლ: მერთენსი, ბლექედერი, სოოალო; გ, 2ს: მერთენსი) — პაუტენვი (ყოფილი ტრანსვაალი; იოჰანესბურგი, აფრიკა) 0

26.04. ველინგთონი (39 ათასი). ველინგთონი (ზელ) 60 (20) (9ლ: ტ. უმაგა 3, ტელეა 2, ოპალორანი 2, ქალენი, ფ. ტიატია; 6გ, ს: ქალენი) — ოთაგო (ზელ) 34 (3) (5ლ: კრონფელდი, ქარინგთონი, ვანისი, მაკქორმაქი, ა. ტიატია; 3გ, ს: ბრაუნი)

კანბერა (18 750). დედაქალაქი (ავსტრალია) 56 (29) (8ლ: როფი 2, პარდი 2, ნორიეგა, პოლბექი, გრეგანი, ნოქსი; 5გ, 2ს: ნოქსი) — ახალი სამხრეთი უელსი (სიდნეი, ავსტ) 9 (9) (3ს: ბერქი)

ბლუმფონტეინი. ნარინჯი (აფრ) 27 (10) (4ლ: ერაზმუსი, ფანვიკი, ი. კრუგერი, ელსი; 2გ, ს: სმითი) — ვაიქათო (ზელ) 13 (13) (ლ: ქოლინზი; გ, 2ს: კუპერი)

27.04. ოქლენდი. ოქლენდი (ზელ) 39 (17) (5ლ: ფითსპატრიქი, ტონუუ, სპენსერი, ვიდირი, საჯარიმო; 4გ, 2ს: სპენსერი) — ნატალი (დურბანი, აფრ) 17 (7) (2ლ: პათი, სლეიდი; 2გ, ს: ლოლისი)

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი | 8 | 7 | 0 | 1 | 5 | 311:193 | 35 |
| კანბერა | 9 | 6 | 3 | - | 7 | 323:228 | 31 |
| ველინგთონი | 8 | 5 | 3 | - | 7 | 326:231 | 27 |
| ნატალი | 8 | 5 | 2 | 1 | 5 | 283:241 | 27 |
| პაუტენვი | 8 | 4 | 3 | 1 | 4 | 224:251 | 22 |
| ნარინჯი | 9 | 4 | 5 | - | 3 | 255:288 | 19 |
| ქენთებრი | 8 | 3 | 4 | 1 | 2 | 186:198 | 16 |
| ახ. სამხრ. უელ. | 8 | 3 | 5 | - | 4 | 205:227 | 16 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 8 | 2 | 4 | 2 | 4 | 191:258 | 16 |
| ვაიქათო | 8 | 3 | 5 | - | 1 | 173:204 | 13 |
| ოთაგო | 8 | 2 | 6 | - | 4 | 221:319 | 12 |
| ქვინზლენდი | 8 | 2 | 6 | - | 2 | 180:240 | 10 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+“ გრაფა). მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

X კვირა. 2.V: ველინგთონი — ახ. სამხრ. უელსი; 3.V: ჩრდ. ტრანსვაალი (აფრ) — ქენთებრი, ოთაგო — ოქლენდი, ქვინზლენდი (ავსტ) — ნატალი, ვაიქათო — პაუტენვი

წრიული ტურნირის ბოლომდე სამი ტური კია დარჩენილი, მაგრამ საპლეიოფო ოთხეული თითქმის გამოვლინდა. საწაული ალბათ არ მოხდება. თითო აფრიკულსა და ავსტრალიურ და ორ ზელანდიურ გუნდს გასარკვევი ისღა დარჩენიათ, თუ გადამწყვეტ მატჩებში მასპინძელი ვინ იქნება. საამისოდ წრიულ ტურნირში მეტოქეზე წინ უნდა დაიკავო ადგილი.

ოქლენდის „ლურჯებმა“ ისევ მაქსიმუმს — 5 ქულას გამოკრეს თავი. ნატალის „ზვიგენები“ ზელანდიელებს შარშანდელი ფინალის დარად ისევ მაგრად დაუდგნენ, მაგრამ დასკვნით მეოთხედში ისევ გატყდნენ და სამი ლელო გაუშვეს, თუმც კი ბოლოს თავადაც გაიტანეს სანუგეშო.

ოქლენდმა ამჯერად ფეხით მეტი ითამაშა. მის უკანა ხაზსაც გასაქანი მეტოქისაზე მეტი ქონდა. თამაში სიმძაფრით არ ჩამოუვარდებოდა „ოლ ბლექსისა“ და „ქურციკების“ ტესტებს. ერთმანეთის კარგად მცნობ მეტოქეებს კაფიაობაც გაემართათ. მასპინძელთა კაპიტანმა ზინზან ბრუქმა ნამატჩევს შენიშნა, ლანძღვა-გინება თუმც მრავლად ისმოდა, რასობრივ საკითხს არავინ შეხებიაო.

არადა, მედიამ ჭორი გაავრცელა, ოქლენდის ფიჯელ გარემარბს, ზორბა ჯოელი ვიდირის თეთრმა აფრიკელებმა უკადრისი აკადრესო. თუ ასე მართლაც მოხდა, სტუმრებს ვერც გაემტყუნებათ, რაკი მათ სწორედ ვიდირიმ მოუთავა ხელი.

ანგარიში 20:10 რომ იყო, ფიჯელმა ცალი ხელი ტაცა ნატალის გარემარბ ჯერემი თომსონს და კიდეზე მოისროლა, შემდეგ ეპიზოდში კი კისერში ისე ეძგერა აბრაგანის მოსაგერიებლად ამხტარ დალალებიან კაბუს ვანდერვესტჰოიზენს, რომ ტვინი შეურყია. ამის გამო ვიდირი 10 წუთით გააძევეს, დასვენებულმა კი ჯერ ერთი ლელო გაიტანა, მერე კი ფეხით ბურთი წინ გაიგდო და რომ შებოჭეს, საჯარიმო ლელოც დაინიშნა.

ველინგთონელმა ტანა უმაგამ კიდევ სამი ლელო გაიტანა და კანბერელი ჯო როფის მხარდამხარ 10-ით ლიდერობს მელელოვეთა შეჯიბრს

ნატალის მწვრთნელ იენ მაკინტოშს არ მოეწონა მასპინძელი პედი ობრაიენის მსაჯობა, ესაო და ოქლენდმა გასაქანი იმიტომ არ მოგვცა, რომ არბიტრი თამაშგარედან ათამაშებდაო. ობრაიენმა ვიდირის გზას ნატალელი ფლანკერი ვიკუს ფანჰირდენიც გაუყენა. ეს მუტრუკი რაქში საგანგებოდ დაიყუნცა და „ოლ ბლექსის“ წაქცეულ კაპიტან შონ ფითსპატრიქს სილა გააწნა, მაგრამ თანამსაჯმა შენიშნა და ამხილა.

წინა ტურში ახალმა სამხრეთმა უელსმა ქვინზლენდთან შინ რომ წააგო შინაომი, გამარჯვებულთა მოძლვარმა ჯონ ქონოლიმ თავი მოუქონა სიდნეელ კოლეგა მეთ ვილიამსს, დიდ ტაქტიკოსად გიცნობ და აბა, შენ იცი, გუნდს როგორ ჭკვიანურად აათამაშებ და პლეი-ოფში გაიყვანო.

კანბერის „ბრუს სთედიუმზე“ სწორედ რომ პირუკუ მოხდა. „ვორათაზმა“ კიდევ უფრო წრფივად და უტვინოდ ითამაშა. გარდა ამისა, გუნდს აშკარად აკლდა მოტივაცია. არადა, ვილიამსი ამბობდა, მეზობელ „ბრომბიზთან“ საბრძოლველად ბიჭებს შეგულიანება არ ჭირდებათ, რადგან ძალიანა წუხან, ავსტრალიის მედია სიდნეელთა ნაცვლად ახალბედა კანბერელებს რომ ასხამს ხოტბასო.




„ბრომბიზი“ ბურთაობის კანბერელ გულშემატკივართა ახალი კერპია. იმ დღეს სტადიონზე ქომაგთა სარეკორდო რაოდენობა შეგროვდა. მორაგბეებმაც ხალხს დაუფასეს შეწევნა და 8 უპასუხო ლელოთი გაახარეს. დიდი ტრადიციების პატრონი „ვორათაზი“ გაპამპულავებულ იქნა. არადა, მასპინძელთა შემადგენლობაში სიდნეის გუნდიდან უპერსპექტივობის გამო დათხოვნილი 6 კაცი თამაშობდა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სიდნეის გაზეთებში აზრიც გამოითქვა, მცველ ბერქის გარდა ქვეყნის ნაკრებში ჩვენებიდან ასაყვანი არავინაა, 10 ნომრად კი დროა ვუხმოთ ბებერ გარემარბ დევიდ ქემფიზის: ვინძლო, გუნდი არა-შაბლონურად აათამაშოსო!

ველინგთონში დიდი ბურთაობა გაიმართა — ერთბაშად 14 ლელო გავიდა. მასპინძლები ერთხანს 41:8 იგებდნენ, მაგრამ მოგება ჩამწარდათ იმით, რომ მაგრად დაემტვრათ შუამარბი ალამა იერემაია და მეორეხაზელი მარკ ქუქსლი. ტვინი შეერყა ნაკრებისა და ოთაგოს გარემარბს, „ოქროს ბიჭად“ ცნობილ ჯეფ ვილსონსაც, ვისაც თანაგუნდელი ჯოშ კრონფელდი დაეჯახა.

ჰაუტენჰი ზე-12-ის ისტორიაში პირველი გუნდი შეიქნა, ვინაც ნულზე წააგო. აფრიკელები დაცადა როგორც ქრაისთჩერჩის ტლაპომ და თავსხმამ, ასევე ოქლენდელმა მსაჯმა გლენ ვოლსთრომმა.

„ოლ ბლექსის“ ქენთებრელმა 10 ნომერმა ენდი მერთენსმა ჰაუტენჰი ბრძნული ტაქტიკური დარტყმებით ხომ დააშამათა და მოკლე ფრთაზე უეცარი იერიშით პირველი ლელოც გაუტანა

პრო სპორტ-ის ფოტოები

რაგბის კლუბი „ყოჩები“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას.



მიბრძანდით ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტბლოს მიდამოში. იკითხეთ ნუგზარ მალაღურაძე.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29